№ IX

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სექტემბერი 1903

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

		გვ.
I	ღორი ივანე—ალ. მირანაშვილისა	3
II	პურის ნატეხი თარგმანი—ალ. ცაგარელისა	4
III	ფუტკარი ლექსი—შ. მდგომელისა	11
IV	ვაშლი (რუსულიდან)—გ. წულუკიძისა	13
V	სპილო და მკერეალი (ფრანგულიდან)—მ. ს. ლორთქიფანიძისა	15
VI	ღვთის მწერი (ფრანგულიდან)—ეკ. მესხისა	16
VII	რისთვის არის ზღვის წყალი მლაშე ზღაპარი—ნიკო მაჩაბლისა	24
VIII	ვასოს საიდუმლო (რუსულიდან)—ს. ციციშვილისა	35
IX	ბეკანია (ქირიფი)—ლადო ადნაშვილისა	45
X	მეხოლდენი (ოვიდიუსი)—ა. უუმისთაველისა	55
XI	ძველი ისტორია ერნესტ ლავისისა, (ჯვაროსანთა ლაშქრობა) თარგმანი—ნ. შენგელაია	58
XII	წერილმანი: ანდაზები, გამოცანები, ჩქარა-გამოსათქმელი, შარადა დ, სხვა	62

თანახმათ მათი ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის დამტკიცებისა, თფილისის საეპარქიო რჩევამ, 17 ოქტომბერს, 1897 წ. გადაწყვიტა ქართული საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლებში მიღებულ იქმნას სახმარებლათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აუმაწვილ ო ნახატებიანი

ჟურნალი

ოზარდ, მწვანე ჯეჯილო,
დაბურდი, გახდი ყანაო!..
ი. ბ.

№ IX

ფელიეტონი მეთოთხმეტე

ტფილისი
სტამბა ტ. მ. როტინიანცისა, № 41 | Тип. Т. М. Ротиніанца, Гол. пр. № 41
1903

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20-го Сентября 1903 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲚᲝᲠᲘ.

ᲘᲒᲐᲕᲘ.

ᲪᲝᲪᲮᲐᲚ ᲚᲝᲠᲡ ᲯᲐᲒᲐᲠᲘ ᲒᲐᲐᲒᲚᲘᲯᲔᲡ და გაპყიდეს. გამწვავებული თავ ჩაღუნული დადიოდა და ღრუტტუნ-ღრუტტუნით ბედს ეჩიოდა.

— რა ძალიან შეეპყრო ხარ დარდს, — ეთხრეს ლორს, — თუ ᲯᲐᲒᲐᲠᲡᲐ ჩივი — ხომ იცი, ისევ ახალი ამოგვივა, თუ ტკივილს — ხომ ეგეც გაგივლის და დაგავიწყდებაო.

— ის-კი ვიცი, რომ ახალი ᲯᲐᲒᲐᲠᲘ ამომივა; მაგრამ, ვაი, რომ ახალ ᲯᲐᲒᲐᲠᲡ ახალი მყიდველიც ამოეჩნდებაო, მიუგო ლორმა.

ალ. მირიანაშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

პურის ნატეხი.

რთ მდინარის ნაპირზე იყო გაშენებული ჰატარა ქალაქი. ანკარასებ წმინდა მდინარე არ იყო ღრმა. ქვიშიანი ნაპირები მარცხენა მხარეს დაფარული იყო მწვანე ბალახით, მარჯვენა მხარეს ტყით. ბავშებს ძრიელ უყვარდათ ეს ჰატარა მდინარე უყვარდათ; ბანაობა მის წმინდა წყალში და გორაობა ნაპირებზე. ქალაქსე მოშორებით, ამ მდინარის ახლო ჩავლებული იყო თხრილი, რომელიც ხშირი ბალახით იყო დაფარული. შუაგულ თხრილში ამოსულიყო ეკალების ჯგუფი, რომლებიც მეტათ ამშვენებდენ თხრილის გარშემო არე-მარეს.

თხრილის ხშირ ბალახებში თავი შეეფარებინა ფეხ-შიშველა ბოგონას, ესე ცხრა წლისას, რომლის მორთულო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას შეადგენდა ძველი ცისფერი კაბა, ჭუჭყიანი კურტკა და ჰატარა თავ-საფარი. კუნაპეტი შაი თმა ერთთავად გაწეწილი ჭქონდა და რუხი თვალები ველურად გამოიყურებოდენ. ერთის სიტყვით ის მუდამ სწორეთ ჰატარა ნადირივით ჩაწოლილი იყო ხოლმე ბალახებში.

ობოლი, უნათესავო და უსახლ-კარო გოგონა ცხოვრობდა მით, რომ სტაცებდა მცხოვრებლებს ჰურს. დაინახავდა თუ არა სახლის კარს ღიას შეიპარებოდა შიგ, მოაყლებდა ხელს რამდენიმე ჰურს და გაარბენინებდა. მცხოვრებლები გამოუდგებოდენ და მისძახოდენ უკან, როგორც შეიერ ძაღლს, და აგდებდენ ხოლმე ეზოდან, როცა-კი მოასწრებდენ. ის-კი ჩაწვებოდა თხრილში და მხეცურად გამოიყურებოდა.

ერთხელ ქალაქიდან გამოვიდა ჰატარა ბიჭი და გაემართა მდინარისაკენ წყლისათვის. ეს ჰატარა ბიჭიც ობოლი იყო და ცხოვრობდა უცხო ოჯახში და მუშაობდა იმდენს, რამდენიც შეეძლო. მისი გამხდარი სახე, ქერა თმა და გამოფეტქვილი შაი თვალები ჭკვიანურად და მრისხანედ გამოიყურებოდენ. ჰატარა ბიჭი მივიდა მდინარესთან იმ ადგილას, საიდანაც მცხოვრებლებს წყალი მიჰქონდათ. მაგრამ იქ ბავშები ბანაობდენ და წყალი ამღვრეული იყო. ამიტომ ბიჭმა ზემოდან მოიარა წყლის ასავსებად და თვის და უნებურად მიუახლოვდა თხრილს. სმაურობა არსაიდან ისმოდა. მზეს გაეთბო იქაურობა. ჰატარა ბიჭმა დადგა წყლის დოქი ძირს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯდა სილაზე, ამოიღო ჯიბიდან ჰურის ნატეხი და დაუწ-
ყო ნელ-ნელა ჭამა. ამ დროს ბალახებში რაღაცა შეინძრა.
ბიჭმა შესვლა და დაინახა გაგარეულებული გოგონა. გოგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამ სარბათ დაუწეო უურება ჰურის ნატესს, რომელსაც ბიჭი ეემრიელათ შეეძ�eoდა. მისი რუხვი თვალები სუსტათ გამოიუურებოდენ. ჰატარა ბიჭმა ააძსო დოქი წულით და გასწია ქალაქისკენ. წასვლის დროს გადაუგდო ჰურის ნატესი გოგონას და როგორც ძაღლს მიაძახა:

— აჭა!

ჰურის ნატესი ეგდო ბალახზე, მშიერი გოგონა ასლოს არ ეკარებოდა. მისი თვალები ასლა უფრო მრისხანეთ ანათებდენ. ჰატარა ბიჭმა გაიარა რამდენიმე ნაბიჯი ტ ისევ მიიხედა, — ჰურის ნატესი ისევ ბალახებზე ეგდო. ბიჭი დაბრუნდა უკან, აიღო ჰურის ნატესი, მივიდა გოგონასთან, დაუდო ძუსლებზე და ალერსით უთხრა:

— ჭამე!

გოგომ დარცხვენით აიღო ჰური, უნდოდა მიეტანა ჰირთან, მაგრამ გული ამოუჯდა და ქვითინი დაიწეო.

— ნუ ტირი, უბედურო! - მწუხარებით უთხრა ჰატარა ბიჭმა. — ჭამე! მშიერი ხარ? ხვალ კიდევ მოგიტან ჰურს; ნუ ივლი ეხოებში საქურდლათ, მე მოგიტან. კარგი, ნუ ტირი, ჭამე!

დიდხანს ქვითინებდა გოგონა, იმას თვალ-წინ წარმოუდგა რაც გაჭირვება მიაყენა მათხოვრულმა ცხოვრებამ. ეეელა ეს ბავშის თვალებიდან ცრემლებათ იღვრებოდა. დიდ ხანს იტირა დევნილმა. ბოლოს დამშვიდდა, აიღო ჰურის ნაჭერი, შესდა მოწიწებით თავისთან მდგომარე ჰატარა ბიჭსა და ბავშური ღიმილით დაუწეო ჰურს ჭამა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუღარ იტირებ!— უთხრა მას გამომშვიდების დროს ჰატარა ბიჭმა.

ამ დღიდან საწუალი გოგონა სრულებით გამოიცვალა. იმას აღარ უნდოდა ნადირივით თხრილში ცხოვრება, აღარ უნდოდა რომ ვისმე გაეგდო ეზოდან, როგორც ძაღლი.

— მართალია, მე კიდევ ჰატარა ვარ, ღონე ცოტა სუსტი მაქვს, მაგრამ მაინც შემიძლიან მუშაობა, ქურდობას თავს დავანებებ და სალხიც შემიბრალებს, ფიქრობს დევნილი.

— აი დრობიში, ის ჰატარა ბიჭი რომელმაც ჰურის ნატეხი მოიცა, ცოტათი ჩემზე უფროსია, მაგრამ მუშაობს და ირჩენს თავს, არც თხრილში იმალება — იმეორებს ჰატარა გოგონა. მთელ დღეს გოგონამ თავისი ტანისამოსი რეცხა და როცა დრობიში მოვიდა წელისთვის ვეღარც-კი იცნო დევნილი. სუფველაფერი მის ტანზე იყო სუფთა, თვალებიც ალერსიანათ გამოიყურებოდენ.

დრობიშმა მოუტანა ჰატარა კალათა, რომელშიაც ელაგა: რბილი ჰურის ნატეხი, შემწვარი კართოფილი და ცოტა კარაქი. დევნილს თავის დღეში არ ენახა ამისთანა საჭმელი.

— ჭამე!—უთხრა ჰატარა ბიჭმა და დადგა კალათა იმის წინ. დევნილი გაშტერებული იდგა.

— შენ ეს მოიპარე?— კითხა გოგონამ. ჰატარა ბიჭს სახე მოეღრუბლა.

— არა, მე არ მომიპარავს! ჰური და კარაქი ვიყიდე, კართოფილი-კი გამოვთხოვე ქალბატონს. ჭამე!—განიმეორა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელ-ახლათ ბატარა ბიჭმა.—ცოტაოდენი ფული კიდევ მაქვს, ხვალ შენთვის კიდევ ვიუიდი ბურს და კარაქს. ეშიერმა გოგონამ დაიწყო ჭამა.

დრობიში წავიდა, ცოტა ხანს შემდეგ დევნილიც გაიქცა ქალაქისაკენ. ის შეეიდა ერთ ეზოში და ითხოვა რამე სამუშაო მიეცათ. სამუშაო იშოვნა—ბალახის გლეჯა. მთელ დღეს გოგონამ ერთგულათ იმუშავა; იქ კარგათ აჭამეს და საღამოს, როცა გაისტუმრეს, ცოტაოდენი ფულიც მისცეს.

დევნილმა იმ ფულით იეიდა შაქრის კვერები და მოჭეურცხლა სიხარულით თხრილისაკენ.

ღილით მოვიდა წულისთვის დრობიში და ხელ-ახლათ მოუტანა ბური და კარტოფილი. გოგონა უეურებდა და იღიმებოდა, იმასაც შეეძლო თავის მეგობრის გამასხინძლება. როცა შეჭამა ბური და კარტოფილი, მოიტანა შაქრის კვერები და მიაწოდა დრობიშს.

— ჭამე! — უთხრა გოგონამ ალეწსით. ბატარა ბიჭს სახე მოეღრუბლა.

— შენ მოიპარე?—ეკითხა მან.

— არა.—უპასუხა გოგონამ.—მე ვიუიდე ნამუშევარი ფულით. ახლა აღარ ვიქურდებ! ჭამე!

ამ დღიდან გოგონა ეოველ დღე მიდიოდა სამუშაოთ, საღამოთი დასაძინებლათ ბრუნდებოდა თხრილის ბალახებში. მუშაობისაგან დაღალულს ეველა ტკბილათ ეჩვენებოდა; ასე ეგონა რომ ბატარა მდინარე, რომელსაც გაჭქონდა დეღუნი ნანას ეუბნებოდა და ვარსკვლავებით მოჭედილი ცაც ალერსით დაჭეურებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიჭირა სიცივეები. დევნილი გოგონა დადგა მოსა-მსახურეთ ერთ ჰატარა ოჯახში. რადგან დიდი დოქებით მას არ შეეძლო წყლის ზიდვა, ამიტომ უკიდეს ჰატარა სუ-რები, რომლებითაც ზიდავდა მდინარიდან წყალს. როდე-საც-კი მოუხდებოდა წასვლა დრობიშთან ერთათ წყლის მოსატანათ ისინი უთუოთ მივიდოდენ ხოლმე თხრილთან, იქ სილაზე დგამდენ წყლის ჭურჭელს, სხდებოდენ ბალახებზე და ბაასობდენ. ობოლი დრობიში და ჰატარა დევნილი გოგონა დამეგობრდენ, როგორც და-ძმა და მრიელ მოეწყინებოდათ ხოლმე, თუ რამდენსამე დღეს ერთმანეთს ვერ ინახულებდენ. მოუჭირა ყინვამ, თხრილი დაცალიერდა, ბალახები გახმენ; მაგრამ ჰატარა დევნილს კარგათ ახსოვდა ის ადგილი, სა-დაც დრობიშმა ჰირველათ მიაწოდა ჰურის ნატეხი.

დადგა გაზაფხული. ბავშებმა ხელ-ახლათ იწყეს სიარული წყლის მოსატანათ. ერთხელ ჰაჰანაქება სიცხეში შეეიდენ ტყეში მდინარის ახლოს, დასხდენ ჩრდილოში და დაიწყეს ჩვეულებრივ ლაპარაკი წარსულზე. ჰატარა გოგონამ გაიხედა მინდვრისკენ და თქვა:

— აი დრობიშ, ის ადგილი, სადაც შენ ჰირველათ გადმოიგდე ჰურის ნატეხი, როგორც ძაღლს, მერმე-კი ალერსით მომაწოდე, როგორც ადამიანს. ხომ ტუუილათ არ დაკარგულა შენი ჰურის ნატეხი? ეკითხებოდა გოგონა მმობილს.

ალ. ცუცქირიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუტკარი.

(ეუძღვნი პატარა ეახტანგ ბარათაშვილს).

ასა ხუხუნებ, ბზუილა
ფუტკარო, შენ ამ დილითა,
ხომ არ დამთვრალხარ მითხარი
თქვენებურ შარბათ ღვინითა?
არა, ჩვენ ღვინო არა გვაქვს,
ისეც საგსე ვართ ლხინითა,
სული და გული გვიხარის,
როცა არ გვძინავს ბილითა!
აი ამ დილას რიჟრაჟზე
მიგვლე და მოგვლე ველები,
ენახე მრავალი უკავილი,
ვარდები სასურველები,
ათასნაირი ბალახი
მომწვანო, სრელა — სრელები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასმოთ გადაეხვეიათ
ერთმანეთისთვის ულები.
    დილა მივუმღვენ მშვიდობის,
დილა კაშკაშა, მზიანი,
სამაგიეროთ მომიმღვნეს
ღიმილი ალერსიანი.
ბევრი გამოჩნდა მათგანი
უხვი ბურ-მარილიანი,
მომცეს სათაფლე ნაუოფი,
ფეხები მომაქვს მტვრიანი.
    ახლა სკისაკენ მივფრინავ,
ზუზუნით მივეშურები,
რომ დავუმსადო სოფელსა
თაფლი და ფიჭის ბურები.
ვიცი მაურიან სიცილსა
ბუზები უგუნურები,
მაგრამ რას დავსდევ, დე სულელთ
გამოუჭედონ ურები.

შ. მღვიმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაშლი.

ყო ერთი მდიდარი კაცი, რომელიც ძრიელ მდიდრულათ ცხოვრობდა, მშვენიერათ იყო გამოწყობილი და მის სასახლეში ხშირათ იმართებოდა ლხინი. ამ მდიდარ კაცს მეფის სასახლეშიაც პირველი ადგილი ეჭირა და ბევრნი შენატროდენ, ეგონათ მისთანა ბედნიერი მ ელ სახელმწიფოში არავინ იყო.

ერთხელ ამ მდიდარს შორიდან ძვირფასი მეგობარი ეწვია, რომელიც დიდი ხანია არ ენახა. ძრიელ იამა მისი ნახვა და დიდი პატივი სცა. მიიწვია სტუმრები და გაუმართა ლხინი. მშკენიერ თ შემკულ სუფრაზე ოქროსა და ვერცხლის პინაკები იდგა, რომლებზედაც სხვა-და-სხვანაირი საუკეთესო საჭმელები ეწყო; აგრეთვე ძვირფასი ჭურჭლებით სხვა-და-სხვა-გვარი სასმელები ელაგა.

თვითონ მასპინძელი სუფრის თავში მოექცა. მარჯვნით საყვარელი სტუმარი უჯდა, ამ რიგათ ლხი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობდენ და ქეიფობდენ. პურის ჭამის დროს სტუმარი წამოდგა, მასპინძელს ქება შეასხა და უთხრა:

— მთელი ქვეყანა დამივლია, მაგრამ არსად ასეთი საკვირველი სიმდიდრე და მშვენიერება არ მინახავს, როგორც აქ. უეჭველია, შენი თანა ბედნიერი ბევრი არ მოიპოვება ქვეყანაზე!

მასპინძელმა ჯერ მადლობა მოიხსენა, შემდეგ ღიმილით აიღო ოქროს პინაკიდან ერთი მშვენიერი ვაშლი, რომელსაც ძლივს ეტყობოდა ერთ ადგილას პატარა შავი წინწკალი, მიაწოდა თვის ძვირფასს მეგობარს და უთხრა:

— ხომ ხედავთ ამ მშვენიერ ნაყოფს, რომელიც ოქროს პინაკზე იდვა. აბა ახლა გასჭერით და ნახეთ.

სტუმარმა გასჭრა ვაშლი და გამოჩნდა, რომ შიგ გულში პატარა მატლი იჯდა და ღრღნიდა. სტუმარმა გაკვირვებით მასპინძელს დაუწყო ყურება.

მდიდარმა მასპინძელმა თავი ჩაკიდა და მწუხარეთ ამოიოხრა.

წყალტუბელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპილო და მკერვალი.

ერთ პატარა ინდოეთის ქალაქში ფანჯარასთან იჯდა მკერვალი და ძვირფას ფარჩის კაბას ჰკერავდა. ამ დროს მის წინ ჩაიარა ერთმა სპილომ და თავის თეთრი ხორთუმი ფანჯარაში შეჰყო. მკერვალმა აიღო ნემსი და სპილოს ხორთუმში გაუყარა. სპილოებს საზოგადოთ არ უყვართ, როდესაც უმიზეზოთ ვინმე აწყენინებთ ხოლმე და ამ სპილომაც სამაგიეროს გადახდა განიზრახა. ის წავიდა წყლისაკენ, გაივსო ხორთუმი წყლით, დაბრუნდა მკერვალთან და მივიდა თუ არა შეასხა წყალი და ძვირფასი საკერავი სულ გაუფუჭა.

მ. ს. ლორთქიფანიძე.

(ფრანგულიდან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვთის მწერი.

„ვინასავთ თქვენ ერთი ჰატარა ლამაზი, რგვალი, უვითელ ან წითელ ფრთიანი მწერი, რომელიც უფრო გაშლილ უვავილსა ჭვავს, ვიდრე მწერს? სწავლულები ამ მწერს მუმლს ეძახიან, მაგრამ მას აქეთ, რაც იმან ერთი უმანკო ქმაწვილი სიკვდილისაგან დაიხსნა, ჰატარა ბავშებმა და ყმოილმა ქალებმა სხვა სახელი დაარქვეს.

— როგორ! ისეთმა ჰატარა საკოდავმა მწერმა დაიხსნა ვინმე სიკვდილისაგან?! იკითხამთ თქვენ.

— დიაღ, თუმცა ეს უცაბედათ მოუვიდა, როგორც თითქმის ყველა ჰირუტყვს, ის მაინც დაასაჩუქრეს და შშვენიერი სახელი, «ღვთის მწერი», დაარქვეს.

ყწინ საფრანგეთში ისე კარგი და სწორი გზები-კი არ იყო, როგორც ახლაა, რომელზედაც ეტლებით და ცხენით დასეირნობენ. იმ დროს მგზავრებს უფრო ხშირათ ბნელ და დაბურულ ტყეთ მოუსდებოდათ ხოლმე სიარული. ეკლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით იყო მოფენილი ეს გზა და ღამით მგლების ღმუილი ისმოდა, ისე რომ უსიფათოთ კაცი მნელათ გაივლიდა.

ერთსელ ავინიონის მცხოვრები, აბრეშუმეულობის ვაჭარი, კლოდიოსი ადარ დაბრუნდა ბაზრობიდან სახლში დანიშნულ დროზე.

სხვა იმასთან ერთათ წასული ვაჭრები-კი მოვიდენ. ხალხმა იფიქრა, უთუოთ რამე შეემთხვა, ან ავაზაკებმა მოჰკლესო, რადგან ბაზარში კლოდიუსს ფულით სავსე მეშის ქისა ეჭირა ხელშიო. ხალხი წავიდა დაკარგულის საძებნელათ ტყეში და იქ ერთ ხევის ჰირათ იპოვეს მუცელ გაფატრული მკვდარი კლოდიუსი, რომელსაც გვერდით დაჩოქილი უდგა უმაწვილიკაცი, ასე ოცი წლისა. ის ფრთხილათ და დაკვირვებით შინჯავდა მკვდარს, თითქოს მისი შველა უნდოდა.

— აი! შე საზიზღარო, დაიყვირა უასაბმა, რომელიც ყველაზე წინ მიდიოდა. აი ეს არის სწორეთ მკელელი, გინდოდა გაგეცარცვა საწყალი კლოდიუსი! მოიცა, ღირსეულათ დაისჯები.

ამ სიტყვებზე მივარდა უმაწვილს და ხელები მაგრათ თოკით შეჰკრა. ტყვე და საკაცეზე დასვენებული კლოდიუსის გვამი ჩამოიტანეს ქალაქში.

— უი! უი! იმახდენ ქალები, როდესაც ეს საძწუსარო სურათი დაინახეს. ახლანდელ დროში აბა ვის უნდა ენდოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი. ამისთანა ასალგასდა, ჯერ წვერ ულვაშიც არა აქვს ამოსული და კაცის მკვლელი იოს!

— განა ეს შესაძლებელია, დუმატა მეორეს, ამისთანა კეთილი სახე და ასეთი საქმის ჩადენა?!

როდესაც ციხეში მოიყვანეს უმაწვილს ჯიბეები დაუჩხრიკეს და მარტო ერთი ჰატარა კალმის დანა უპოვნეს, რომელიც კლოდიუსს ეკუთნოდა.

— ეჯვი აღარ არის, დაიყვირა ჟასაბმა,—სწორეთ ეგ არის მკვლელი.

ამ დროს მაზრის მოსამართლეც მოვიდა, უბრძანა ტყვესთვის ხელები გაეხსნათ და გამოკითხვა დაუწყო. უმაწვილი გულწრფელათ იმართლებდა თავს.

— მე არ მომიკლავს ის საცოდავი კაცი, იმეორებდა ტყვე. ეს-კი მართალია, რომ იმის ვერდით დაჩოქილი ვიყავი. როდესაც დავინახე ხელთან ახლოს ეგდო მეგონა ჯერ კიდევ ცოცხალია-მეთქი და ჭრილობას ვუშინჯავდი. მე განთქმულ მონპელიეს უნიკერსიტეტის საექიმო ნაწილის მოწაფე ვარ.

— მაგრამ, უთხრა მოსამართლემ, რომელიც ჰატიოსან და სასტიკ მოსამართლეთ ითვლებოდა,— შენ რომ კლოდისის დანა გიპოვნეს.

— მართალია, ბატონო მოსამართლევ, მე ეს დანა ცხენდართან ახლოს ბალასებში ვიპოვნე, ვისარგებლე ამით და მინდოდა ჰერანგი გამეჭრა, მაგრამ არ დამაცალეს. მინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდა უველაფერი ამეხსნა ამ ხალხისათვის, მაგრამ მაშინვე შემბოჭეს და აღარაფერი მათქმევინეს. მე რომ ქურდობისთვის მომეკლა ეს ვაჭარი, როგორც ეგენი მწამებენ, განა ფულებს არ მიპოვიდენ? უველამ ნახა, რომ იმის ქისა ცალიერი იყო.

— ამხანაგი ეეიოლებოდა და ფულს იმას გაატანდი, უთხრა ეასაბმა.—ტეუილათ აეჩქარდით თორემ იქ ახლო-მახლოს იმასაც ვიპოვნიდით.

ძნელი იყო საქმის გამორკვევა, მოსამართლემ ამორჩეული კაცები მოიწვია, რომლის უფროსი იერონიმი მეფეთიაქე იყო და ემაწვილიკაცი სამართალში მისცეს. კლოდიუსის ნათესავები და ნაცნობები უფრო ბევრს ხმაურობდენ და ემაწვილის დასჯას თხოულობდენ. სრულიად უპატრონო საწყალ ემაწვილკაცს-კი დამცველი და მფარველი არავინა ჰყავდა და რასაკვირველია, რომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. დასასჯელათ დანიშნული დღეც დადგა ახალგაზდა სტუდენტი საპყრობილედან გამოიყვანეს. ქალაქის დიდ მოედანზე სახრჩობელა იყო მომზადებული.

— უდანაშაულოთ კვდები, ამბობდა საბრალო ემაწვილი—სიცოცხლე თუ მენანება მარტო დედა-ჩემის გულისთვის. დამავალეთ, ბატონო მოსამართლეე, მისწერეთ დედა-ჩემს, რომ მე ვკვდები და სიკვდილის დროს სულ იმაზე ვფიქრობ. დედა კარგათ მიცნობს და თაკის დღეში ჩემ უანკოებაზე ეჭვს არ შეიტანს. გთხოვთ აუხსნათ, რომ მე მნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეს დაურდობილი იმ კაცთან. დედა კარგათ მიხვდება, რომ მე იმიტომ მივედი მომაკვდავთან, შვილა ალმოიჭინა და ეს რწმენა იმას სიმხნეკეს მისცემს. მე რომ გამეგლო და არ შემდგარვიყავ საწყალი კლოდიუსის საშველათ ხომ არავინ დამიჭერდა.

— ეგ მართალია. თქვა მოსამართლემ და ამოიოხრა, ის დარწმუნებული იყო რომ უმაწვილი დამნაშავე არ იყო, მაგრამ გადაწყვეტილება უნდ აესრულებინათ. ჯალათი მიუახლოვდა ტუკეს ხელების შესაკრავათ, უმაწვილმა კაცმა თითონვე გაუშვირა ხელები.

ამ დროს ერთი ბატარა მშვენიერი მწერი, მუმლი, ტუკეს ტიტველ მკლავზე დააჯდა. უმაწვილ-კაცს შეეშინდა, რომ ეს მწერი არ გაეკბილიტა იმ თოკს, რომლითაც მას ხელებს უკრავდენ და სიფრთხილით, ნაზათ აუქნია მწერს ხელი და გააფრინა. იმისი ამგვარი საქციელი შეუმჩნევლათ არ დარჩა. მოსამართლემ და იერონიმემ შეამჩნიეს.

— დაინახე? ჩაუჩურჩულა იერონიმემ მოსამართლეს ყურში. შეამჩნიე, ბატონო მოსამართლეკ?

— დავინახე, ბატონო იერონიმე, შევამჩნიე; იმან ნაზათ გაიქნია ხელი, რომ საცოდავი მწერი არ გაეკბილიტა.

— გკერაო, ბატონო მოსამართლე, რომ ამისთანა კეთილ ბავშს, რომელიც სამარის ბირათაც-კი იცავს საცოდავ მწერს, შეეძლო რომ კაცი მოეკლა?!

— ძნელი დასაჯერებელია, ბატონო იერონიმე, ვისაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერის სიყვარული და სიბრალული აქვს, არ შეიძლება ადამიანს ავათ მოექცეს.

— მაშ რა დასკვნა გამოგვაკეთ, ბატონო მოსამართლეო?

— ის რომ ეს უმაწვილი დამნაშავე არ არის, უმანკოა.

— ბატონებო, მიმართა ხმა-მაღლა იერონიმემ ამსანაგებს.—მე და ბატონი მოსამართლე სხვა-და-სხვა მიზეზებისაგამო, რომლის ახსნა ერთობ გაგრძელდება, ვთხოულობთ რომ სასჯელი სვალისთვის გადაიდოს.

— რა საჭიროა გადადება! დაიყვირა ეასაბმა.

მეაფთიაქეს მუმლის ამბავი არ უნდოდა გამოეძედვნებინა და ვერაფერი ვერ უპასუხა, მაგრამ მოსამართლე დაეხმარა.

— დღეს გვიან არის, ბევრს ჩვენგანს სახლში დაბრუნება გვეჩქარება, მერე ბარასკევია, უბედურ დღეთ ითვლება. ერთი სიტყვით გვიან არის, ავდარსაც აბირებს, თქვა მოსამართლემ.

— კარგი მიზეზია, წამოიყვირა გაბრაზებულმა ეასაბმა. — დედაკაცები ხომ არა ვართ, რომ ავდრისა გეშინოდეს? ვისაც სახლში დაბრუნების სურვილი აქვს მიბრძანდეს. აქ საქმე კარგსა და ავ დრეს არ არის. ეგ უბრალო მიზეზია, ან სხვა რაღაც სიბრალული, რომელიც, თუ არ ვცდები, ამ ჯოხტა უმაწვ ლმა გამოიწვია. განა მისი დანაშაული ცხადი არ არის? ვერ შეიძინეთ ბატონებო, როგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის მოსერწყვით არის ჩადენილი ეს მკვლელობა? დიდი ბარდვი სედ შუაზეა გადაჭრილი და დანა ბიგ გულ-ღვიძლია გატარებული, ეს მარტო ანატომიის კარგათ მცოდნეს შეეძლო, რომელიც ხშირათ ადამიანის სხეულსა სჭრის ხოლმე და განა მაგ სულელმა, რომელსაც თავი ისე უმანკოთ უჭირავს, თითონვე არ გითხრათ, რომ საქმიო ნაწილის სტუდენტი ვარო?

— ანატომიის მცოდნესი, თუ ესაბის ნაკრავია დანა... წაიბუტბუტა იერონიმემ, თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდა.

იმ დროს, როდესაც ესაბი ისე მჯერმეტუველათ ლაპარაკობდა და ხელებს იქნევდა, მუმლი ფრენით დადალული ხელსე დაჯდა და უკბინა, ეს-კი ამ გაბრაზებულმა კაცმა ვედარ მოითმინა, დაიჭირა მუმლი და შუაზე გაგლიჯა.

— დაინახეთ? უთხრა ეურში იერონიმემ მოსამართლეს. —შეამჩნიეთ?

— დაინახე, ბატონო იერონიმე. შეკამჩნიე, რომ საცოდავი, მწერი ესაბმა გაჭყლიტა.

ამ ორ კაცს შუა დიდი განსხვავება იყო. ერთი მშვიდობიანი მომთმინო და ეველას შემბრალებელი და მეორე ავ-გულა, ანჩხლი, რომელიც ხმა-მაღლა ეგირის და ადამიანის დასჯასა და სიკვდილს თხოულობს. გაბრაზებული ესაბი ისეთის აღტაცებით უხსნიდა მსაჯულებს, რომ ბარდვის გადაჭრა ადვილათ შესაძლებელიაო, რომ ორივე მსაჯული ამ აზრს დაადგა: ესაბია დამნაშავე და არა უმაწვილი-კაცია.

— თანახმა ვარ, უპასუხა მოსამართლემ, მზის ჩასვლამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის უთუოთ ვისმეს დავსჯით, მაგრამ იმ უმაწვილ-კაცს-კი არა, რომელიც უმანკოა. შენ ესაბო!.. შენ მოჭკალი კლოდიუსი! — მიმართა მოსამართლემ ჰირდაჰირ ესაბს.

ამ სიტყვებზე ესაბი გაფითრდა, თრთოლა დაიწყო, ეგონა, რომ მოსამართლეს რამე დამამტკიცებელი საბუთი აქვს და იმიტომ ლაპარაკობს ასეო. ალბათ ამ დანაშაულობის დროს ვინმე იყო ტყეში და ეს აქბაკი გამოამეღვნაო.

— შეიბრალეთ! მაპატიეთ, ბატონო მოსამართლეო, დაიყვირა ესაბმა და დაიჩოქა; ეშმაკმა შემაცდინა, სიცოცხლე მაჩუქეთ. ფულს უკან დაგიბრუნებთ.

— არ შეიძლება ჰატიება, დაიყვირა ერთ-ხმად სალხმა, არ შეიძლება უფრო იმიტომ, რომ თავის დანაშაული უმანკოსთვის უნდა გადაებრალებინა!

მართლაც მზის ჩასვლამდის ესაბი დასაჯეს. უმაწვილკაცს სალხი აღტაცებით ულოცავდა გადარჩენას. მოსამართლემ თავისთან მიიპატიჟა. უმაწვილიკაცი რვა დღეს დარჩა იმასთან სტუმრათ. ქალები და კაცები ერთმანეთს ეჯიბრებოდენ: ზოგი ცხენს აძლევდა, ზოგი უნაგირს, ზოგი მოსართავს და ასეთი ჰატივისცემით გაისტუმრეს ბინაზე.

აი, სწორეთ მას აქეთ ამ მწერს ეძახიან «ღვთის მწერს».

ეკ. მესხი.

(ფრანგულიდან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისთვის არის ზღვის ღუალი ძლაფე.

ზღაპარი

I

Დიდი ხანია მას აქეთ, რაც ოსმალეთში ცხოვრობდა ორი ძმა: აბდულა და ახმეტა. უფროსი ძმა აბდულა ბედნიერათ ცხოვრობდა, მას უველაფერი თავზე საერელი ჰქონდა; ქალაქში სხვათა შორის საუცხოო სასახლე აეშენებია, რომელსაც გარშემო მშვენიერი ბაღი ჰქონდა გაშენებული. ამას გარდა ჭაბედა ათი ცოლი და ძრაგალი მოსამსახურეები ახლდა, ასე რომ აბდულა ეოველისფერით ბედნიერი იყო. მის ბედნიერებას და სიიდიდრეს უველა შენატროდა. თვით აბდულა-კი უველას ზიზღით უყურებდა, ის მეტათ ბოროტი ადამიანი იყო.

უნცროსი ძმა — ახმეტა ცხოვრობდა ქალაქსე მოშორებით, ზღვის ნაპირას ერთ ღარიბ სოფელში. მის ავლადიდებას შეადგენდა ერთი ძველი ქოხი და ერთი ბადე. ქოხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში რომ თავს შეაფარებდა და ბადით დაჭერილ თევზს ჭამდა ასმეტას თავი ბედნიერათ მიაჩნდა. ყოველთვის დიდ სიღარიბეში ატარებდა დღეებს, მხოლოთ როცა ზღვა ღელავდა მაშინ მამდარი იყო. რამდენჯერმე მოინდომა ასმეტამ უფროს ძმას მიჰყოლებოდა, მაგრამ ამბულას ბიჭებთან ნაბძანები ჰქონდა, ასმეტა სახლში არ შემოუშვათო.

ერთ ხელ ასმეტას დიდი უბედურება დაატყდა თავზე. ბადის სროლაში ისე გაერთო, რომ კარგა შორს გასცილდა ზღვის ნაპირს. ამ დროს ცაზე შავი ღრუბელი გამოჩნდა, ზღვა აღელდა, წამოვიდა უშველებელი ტალღა, დაეტაკა ასმეტას და თავისი ნავითა და ბადით უფსკრულისკენ გაქანა. იმედ დაკარგულმა ასმეტამ მხოლოთ ორი სიტყვის: ალლა! ალლა!-ს თქმა მოასწრო.

მაგრამ ბედმა სხვანაირათ დაატრიალა საქმე და ორიოდ წამს შემდეგ ტალღებმა ცოცხალ-მკვდარი ასმეტა ნაპირზე გამოაგდო. საღამოს ჟამს ის მეზობლებმა თავისსავე ქოხში დაბანინავეს. საცოდავს დიდსანს ვერ წარმოედგინა, სად იყო და რა დაემართა, საშინლათ ტკიოდა მკლები, თავი, გული ერეოდა და ენა უშრებოდა. ბოლოს ყველაფერი გაითვალისწინა, მოიგონა და მიხვდა, რომ ძალიან ავათ იყო და ტირილი დაიწყო:—რაღა ექნა ავათმყოფმა, რადა მეთევზე ვარ, რითი ვირჩინო თავი! გაიძახოდა საცოდავი ასმეტა—ვინ მამივლის, მოდი ისევ ძმასთან წავალ, იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემიბრალოს და ეური მიგდოსო. და მეორე დღეს გაემართა ქალაქისაკენ.

როდესაც მმის მოსამსახურეებმა დაინახეს ახმეტა—შეეცოდათ და შეატეობინეს აბდულას.

— გააგდეთ აქედან, არ შემოუშვათ, ეგ ღატაკი. შეჭეშეერა აბდულამ.

ბევრს ესვეწა ახმეტა, ბევრნაირათ ანიშნა თავისი წულულების მდგომარეობა, მაგრამ ამაოთ, აბდულა უცებ გატრიალდა და შევიდა სახლში. მოსამსახურეებს ძალიან ეცოდებოდათ საცოდავი ახმეტა და მეორეთ კიდეე სცადეს, ბატონისთვის შეებრალებინათ, მაგრამ ის მაინც თავისას გაიძახოდა:

— გააგდეთ აქედან, ზარმაცებს და მუქთა-ჭამლებს მე სახლში არ შეგუშვებო.

მოსამსახურეებმა ჩუმათ მისცეს ახმეტას ცოტა ჭური და გამოისტუმრეს. გამოვიდა ახმეტა მმის ეზოდან და დაიწყო საცოდავათ ტირილი.—სად წავიდე, რითი ვიცხოვრო, ჩემი მარჩენელი ერთი ბადე და ნავი იყო და ისიც ზღვამ ჩანთქაო.

II

ახმეტა გავიდა ქალაქს გარეთ, მინდორში და ჩამოჯდა ქვაზე. უცბათ, თითქო მიწიდან ამოძვრაო, მის თვალ-წინ გაჩნდა ბებერი კაცი და ჰკითხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რითა ტირი საცოდავო?

— როგორ არ ვიტირო, მიუგო ასმეტამ—ზღვამ ბადე და ნავი წამართვა, მე სულ დამაუძლურა, მუშაობა ადარ შეძიძლიან და რითი ვირჩინო თავი. მივედი მმასთან, მეგონა შემიბრალებდა ავათმყოფს, მაგრამ იმან მოსამსახურეებს გამოაგდებინა ჩემი თავიო.

— კმარა ნუ ტირი! უთხრა ბერიკაცმა.— მე მოგეხმარები. ადექ და გასწი ტყე-ტყე, როდესაც ველზე გახვალ იქ ერთ ქოხს დაინახავ, იმ ქოხში დედაბერი ცხოვრობს, მიდი და ფანჯარა დაკაკუნე. ფანჯრიდან გამოიხედავს დედაბერი და გკითხავს: — რა გინდა! შენ დაწვრილებით უამბე შენი თავ-გადასავალი და ის გიშველისო. მშვიდობითო - უთხრა ბერიკაცმა და გაჭრა.

ადგა ასმეტა და გაუდგა გზას. იპოვა ველი, ქოხი და დაკაკუნა ფანჯარა! ფანჯრიდან მართლა დედაბერმა გადმოიხედა და ალერსით ჰკითხა: რა გინდა?

ასმეტამ უამბო თავისა თავ-გადასავალი. ჯერ ჩაფიქრდა დედაბერი და მერე წარმოთქვა:

— დიდი უბედური ყოფილხარ, შე საცოდავო, მართლა უნდა გიშველოო. შებრუნდა დედაბერი და გამოუტანა ხელსაფქვავი.

— აი, წაიღე ეს ხელ-საფქვავი, თილისმიანია და სიღარიბისაგან დაგიხსნის. მაგრამ იცოდე დარიბ-ლატაკი არ დაიფქვო. თუ გაამჰარტავნებენ ხელ-საფქვავი ეველა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერს ისევ წაგართმევს და ხელ მეორეთ გაღატაკებინ.

— მასწავლე, ბებია, როგორ მოვიხსარო ეს ხელ-საფქვავი? დაეკითხა ახმეტა.

— დაატრიალე და თხოვე, ესა და ეს მამეცი, და ყველაფერს მოგცემს, მხოლოთ ფული არა თხოვო, არ მოგცემს. ახლა-კი წადი. უთხრა ბებერმა.

ახმეტამ მაღლობა გადუხადა დედაბერს და გახარებული გაეშართა თავისი ქოხისაკენ.

III

დამშეული ახმეტა შეიდა ქოხში, დადგა ხელ საფქვავი მაგიდასე და უთხრა:

— ხელ-საფქვავო, ჭური მშიან და მამეცი.

დაიწყო ხელ-საფქვავმა ტრიალი და მაგიდა გაიმსო ჭურით.

— მეყოფა, მეყოფა, ხელ-საფქვავო! შეჭვირა გახარებულმა ახმეტამ, როდესაც მაგიდა ჭურით გაიმსო. ხელ-საფქვავი შეწყერდა.

ამას შემდეგ ახმეტა ბედნიერათ ცხოვრობდა, ხელ-საფქვავისთვის რაც უნდა ეთხოვა ყველაფერი ბლომათ მოსდიოდა.

ახმეტას კარგათ ახსოვდა თავისი წინანდელი გაჭირება და ამიტომ უხვათ ურიგებდა მოწყალებას ღარიბ-ღატაკებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდის თანაგრძნობით ეკიდებოდა ყველა ობლებს და უნუგეშობებს.

ახმეტას ამბავი გავრცელდა ყველგან და აბდულას ეურამდისაც მიაღწია. აბდულამ არ დაიჯერა ეს ამბავი და გაგზავნა მოსამსახურეები სიმართლის გასაგებად. მოსამსახურეებმა კარგად დათვალიერეს ახმეტას ცხოვრება და ყველაფერი უამბეს ბატონს. აბდულამ გადწყვიტა წასვლა ახმეტასთან, რომ თავისი თვალით ენახა ყველაფერი, იმას არა სჯეროდა, რომ ღატაკ მეთევზის გამდიდრება შეიძლებოდა.

აბდულა თავისი მოსამსახურეებით მივიდა ახმეტასთან. ახმეტა დიდის სიამოვნებით შეხვდა მმას.

— შენთან მოვედი — უთხრა აბდულამ — ამბობენ, რომ გამდიდრებულხარ და მინდა ჩემის თვალით ვნახო შენი სიმდიდრე და დავრწმუნდეო.

— მადლობელი ვარ, ძმაო, რომ მომიგონე — უპასუხა ახმეტამ — მოდი და ნახე ყველაფერი.

აბდულა ამაკად შევიდა ძმის სახლში, მოიკეცა ტახტზე და უბძანა ეკვა მოერთმიათ.

ახმეტამ დააწყო მაგიდაზე ფინჯნები და უთხრა ხელსაფქვავს:

— ხელ-საფქვავო, ხელ-საფქვავო, ეკვა მოგვეცი. ხელ-საფქვავმა შექნა ტრიალი და ფინჯნები გაიმსო ეკვით. —

ეროვნული ბიბლიოთეკა

კმარა, მადლობელი ვარ. უთხრა ახმეტამ და ხელ-საფქვავი გაჩერდა.

— ეს რა არის! ჰკითხა გაოცებულმა აბდულამ.

— ეს, ძმაო, სასწაულია, სწორეთ მაგ ხელ-საფქვავმა გამამდიდრა ასე.

— სად იშოვე? კიდევ ეკითხება აბდულა.

ახმეტამ ეველა თავისი თავ-გადასავალი უამბო ძმას. აბდულა ჯერ ჩაფიქრდა და მერე უთხრა ახმეტას:

— მომეიდე ეგ ხელ-საფქვავები. მითხარი რამდენათაც ღირს და მოგცემო.

— გასაყიდი არ არის—მიუგო ახმეტამ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მაგან გამაბედნიერა და ვერ მოვეშორებ.

— კიდევ გეუბნები, მომეიდე...

— მე კიდევ გიპასუხებ, რომ ვერ მოგეიდი.

— ვერ მომეიდი და წაგართმევ. გაჯავრებით უპასუხა აბდულამ.

— ეგ შენი ნებაა. დამშვიდებით წარმოთქვა ახმეტამ.

— დაიჯერეთ ბიჯებო ახმეტა.—შეეკვირა აბდულამ როდესაც ბიჯებმა ახმეტა დაიჯერეს, აბდულამ წამოავლო ხელი ხელ-საფქვავს და გაკარდა გარეთ.

ხედავდა ეველა ამას ახმეტა და ვერას აწეობდა, რადგან მოსამსასურეები არა ჰყავდა, რომ ძალა ეხმარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც მიეიდა აბდულა თავის სახლში მაშინვე შეჭვირა:

— ეი, შენ, ხელ-საფქვავო! არიქა ჩქარა მამე ცხელი ყავაო.

ხელ-საფქვავმა დაიწყო ტრიალი, აიმსო ფინჯნები ყავით, ყავა მაინც გადმოდის. ფინჯნებიდან, გადმოიქცა მაგიდაზე, მაგიდიდან მიწს იატაკზე, აბდულა შეწუხდა და დაიყვირა:

— ეს რა ამბავია! შეჩერდი, შე წყეულო! აბდულა შეჩვეული იყო, რომ მის დაყვირებაზე ყველა მსენათ გარდაიქცეოდა ხოლმე, ხელ-საფქვავი-კი ეურს არ უგდებდა—ტრიალებდა და ტრიალებდა, ყავაც მდინარესავით მოჭქუსდა ფინჯნებიდან მიწს

— ბიჭებო! ვინა ხართ მანდ! მიშველეთ! დაიწყო ყვირილი აბდულამ და გამოვარდა მეორე ოთახში. ყავა-კი გადმოქუსდა მიწს, უფარავდა ფეხებს აბდულას და სწვავდა.

აბდულას ყვირილზე მოცვივდენ მოსამსახურეები, მაგრამ შიშით ოთახში ვერავინ შედიოდა, ცხელი ყავით ფეხების დაწვისა ეშინოდათ.

— ახლავე გაგზავნეთ ცხენოსნები ახმეტასთან, იხვეწებოდა აბდულა. საჩქაროთ გაავლიეს ცხენით კაცი. ყავა-კი გადმოდიოდა და გადმოდიოდა. მოედვა მთელ ეზოს, ეზოდან ბოსტანს და იქიდან ქალაქის ქუჩებს. მცსოვრებლები შეშინდენ და სახლებში შეიმალენ, ზოგი სახლის ბანებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე შედგა და იქიდან იცქირებოდა. აბდულა-კი თავისი ცოლებით, შვილებით და ყველა მოსამსახურეებით ქალაქ გარეთ გავიდა. არავინ იცოდა რითი გათავდებოდა ეს ამბავი.

საღამო ჟამს მოვიდა ახმეტა. ქალაქში ვერც ის შეიდა, მაგრამ შორიდან ალერსით, ტკბილათ დაუწუო ძახილი:

— ხელ-საფქვავო, ხელ-საფქვავო, შეხერდი, ადრე გვინდა ყავაო.

ხელ-საფქვავი შეხერდა. როდესაც ქუჩებში ყავა განელდა, ახმეტა შეკიდა ძმის სახლში, იპოვა ხელ-საფქვავი და წამოიღო შინ.

IV

ამას შემდეგ ყველა დარწმუნდა, რომ შესანიშნავი ხელ-საფქვავი მარტო ახმეტას სიტყვას ისმენდა და აღარავინ ეკილებოდა. ახმეტა სიბერემდის ბედნიერათ და მშვიდობიანათ ცხოვრობდა, მაგრამ სიბერის დროს ცოტა გაამჭარტავნდა. მოისურვა იმისთანა სასახლის ქონა, როგორიც თვით ოსმალეთის სულთანსაც არა ჰქონდა.

ხელ-საფქვავმა არც ამის უარი უთხრა. ახმეტას აუშენდა მარმარილოს სასახლე, რომელსაც ბროლის ბანი ჰქონდა ოქროთი და ვერცხლით შესაკებული და რომელიც დღე მსესაებ ბრწყინავდა, ღილა-საღამოს ვარდისფერათ და ღამე ისე ელვარებდა თითქო ვარსკვლავებით მოჭედილი და მთვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რით განათებულიაო. სახლის გარშემო გაშენდა ბაღი უზარმაზარი ხეებით, ათასფერი ყვავილებით და შადრევნებით. ხეებზე ისხდენ ათასგვარი მგალობელი ფრინველები და საამურათ ჭიკჭიკობდენ. ხალხი გაოცებული შესცქეროდა და თაყვანს სცემდა მის მფლობელს ახმეტას. ახმეტაც ამაობდა თვისი სიმდიდრით.

ერთხელ მოუახლოვდა ახმეტას სახლს თორმეტი კემი. ეს კემები ეკუთვნოდენ ვაჭრებს, რომლებთაც მარილი გაეყიდნათ და ახლა სახლში ბრუნდებოდენ. როდესაც შესვდეს ახმეტას სასახლეს, რომელიც გაბრწყინვებული მედიდურათ გამოიყურებოდა, მეტათ განცვიფრდენ, რადგან ამ ადგილს სხირათ გამოუვლიათ და არ უნახავთ, თუ ეს სასახლე ან აშენებული იყო და ან შენდებოდა. მათ მოინდომეს სასახლის პატრონის გაცნობა და გაემართენ მისკენ.

ახმეტამ სტუმრები დიდის სიამოვნებით მიიღო, კარგათ გაუმასპინძლდა და გულში სულ ამას ფიქრობდა: რა კარგათ მოსდა, რომ უცხო ქვეყნელები მოვიდენ ჩემი სასახლის სანახავათ, ახლა ესენი გაავცელებენ ჩემი სიმდიდრის ამბებსო. სტუმრებმა დაუწყეს გამოკითხვა ახმეტას თუ როგორ შეიძინა ამოდენა სიმდიდრე. ახმეტამაც დაწვრილებით უამბო ხელ-საფქვავის შემენის ამბავი.

დადამდა. ყველამ დაიძინა, ვაჭრებს კარდა. შუადამისას სტუმრები ადგენ, ჩუმათ აიღეს ხელ-საფქვავი, გავიდენ სახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიდან, ჩასხდენ გემში და გაუდგენ გზას. რომ შეეიდენ შუა ზღვაში ვაჭრებმა უთხრეს ხელ-საფქვავს—აბა ხელ-საფქვავო, ასმსე გემები მარილითაო.

ხელ-საფქვავმა დაიწყო ბრუნვა. მთელ ღამეს იმუშავა, დილამდის ორი გემი ასმსო მარილით, მაგრამ მაინც შეუჩერებლათ ბრუნავდა. მეორე დღეს და ღამეს კიდევ შეიდი გემი, მესამე დღეს თორმეტივე გაიმსო; ხელ-საფქვავი-კი მაინც ბრუნავდა და ბრუნავდა და გემებს მარილს უმატებდა. შეშინდენ ვაჭრები, არ იცოდენ რანაირათ გაეჩერებინათ ხელ-საფქვავი, რომელიც შეუჩერებლათ ბრუნავდა. ბოლოს გემებმა დაიწყო ძირ-ძირ წასვლა, თანდათან ზღვაში იძალებოდა და ბოლოს ყველა გემები ვაჭრებიანათ და ხელ-საფქვავიანათ სრულიად ჩაიძირა ზღვაში.

იმიტომაც არის ზღვაში ძლაშე წყალი, რომ მას შემდეგ ხელ-საფქვავი არავის დაუყენებია; ბრუნავს და ბრუნავს და თანდათან უმატებს ზღვას მარილს. თუმცა ამბობენ, რომ ვინც იპოვის ხელ-საფქვავს და შეეხეწება, გაჩერდებაო, მაგრამ ვინ იპოვის, როდესაც არავინ იცის სად არის.

ნიკო მაჩაბელი.

(რუსულიდან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასოს საიდუმლო.

I

ქარა, ძიძა, ჩქარა, ჩემო ძიძიკო, რათ იცი რომ სულ აქეთ-იქით დატრიალებ ხოლმე! სხაპა სხეპით ელაპარაკებოდა თავის გამდელს პატარა რეა წლის ეაკი ეასო და თან რაც ძალი და ღონე ჰქონდა ხტოდა.

ძიძა კი აუჩქარებლივ, დიდის სიფრთხილით ეარცხნიდა თავის გაზდილს ხუჭუჭა თმას.

— აი შე კუნტრუშავ... ერთ წამს არ შეგიძლია გაჩერდე ერთ ადგილს, სულ ერთთავად გაიძახი: ჩქარა, ჩქარა, თითქო ცეცხლის გასაქრობად მიეშურებოდე! ბუტბუტებდა გამდელი და თან ალერსით შეჰყურებდა საყვარელ არსებას.—ნუ ხტუნავ, ბიჭო, აგრე თუ ქენ, მე შენ თავის დღეში ვერ დაგვარცხნი თმას. თმა-გაწეწილი ხომ ვერ ირბენ ქუჩის ბიჭივით.

მაგრამ ბავშს სრულიადაც არ ესმოდა გამდლის დარიგება. ის გატაცებული იყო ბრწყინვალე მზის სხივების ცქერით, რომლებთაც ათასფერად შემოენათებინათ ლია ფანჯრებიდან და სასიამოვნო სუნნელებასთან ერთად გაებრწყინებინათ ბავშის ოთახი. ბოლოს ბავშმა ვეღარ მოითმინა, გაუსხლტა გამდელს ხელიდან და დაიწყო სალათის ჩაცმა.

— ზემოდან მაინც გადაგისვა ხელი, ეასოჯან! ეხვეწებოდა ძიძა.

— ასე კარგია, ჩემო ძიძა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მშვენიერი, უკეთესი აღარა შეიძლება-რა! ადმირალის შვილი და თმა-გაწეწილი! დაგინახოს მამამ, ძალიან მოგიწონებს აი... მაგრამ ეასო უკვე დერეფანში მირბოდა და უკანასკნელი სიტყვა გამდლისა აღარ გაუგონია.

ეასო მეტათ ცელქი და გამხდარი ბავში იყო, ზღვის ნაეთ სადგურის უფროსი და სვეასტოპოლის გუბერნატორის შვილი. ესენი ცხოვრობდენ დიდ სახელმწიფო სახლში.

ეასომ გაირბინა დერეფანი, გაიარა რამდენიმე ოთახი და მიადგა მამის სამუშაო ოთახს. ბავშის მხიარული სახე ერთ წამს მოიღუშა. ის შეჩერდა კარებთან და თითქო შესელას ვერა ბედავდა.

— ხომ უთუოთ უნდა შევიდე! გაიფიქრა ბავშმა და გააღო კარი.

დიდ სამუშაო ოთახში საწერ მაგიდასთან იჯდა ხანში შესული კაცი, რომლის გაპაღარავებული ეაჟკაცური სახე მეტათ ამაყათ გამოიყურებოდა; მისი მკაცრი შეხედულების მიზეზი იყო, რომ ცოლიდან დაწყებული უკანასკნელ პატარა ფინიამდე მისი ყველას ეშინოდა.

— დილა მშვიდობისა, მამა! ნელა, გაუბედავათ —ხმის კანკალით წაილაპარაკა ეასომ და მიუახლოვდა საწერ მაგიდას, თან მამას თვალს არ აშორებდა.

მამამ კარგა ხანს ეასოს ხმა არ გასცა. გაიარა რამდენიმე წამმა. ღია ფანჯრიდან-კი სასიამოვნოთ მოჩანდა ამწვანებული აკაციები, დაკუნწული თხილის ტოტები, ყველა ესენი აგონდებოდა ეასოს და ფიქრობდა: კარში რა სიამოვნებით შეიძლებდა დროს გატარება, ამოდენა ხეხილებში და იმ მეკობრებში, რომლებსაც ისე მალამდა ეასო ყველა შინაურებთან. ეასომ გაბედა და ხელ-მეორეთ მიმართა მამას:

— დილა მშვიდობისა მამილო!

ადმირალმა უცებ აიხედა და დაფიქრებით შეაჩერდა შვილს, თავისი ამაყი და მრისხანე თვალებით. ერთ წამს თითქო რაღაც სიხარულმა გაიელვა მის თვალებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გამარჯობა! დინჯათ და მკვახეთ წაილაპარაკა მამამ.

და იმის მაგიერ, რომ ჩვეულებრივ ენიშნებინა შეილისთვის, გარეთ გადიო, მან ვასოს თავზე ხელი დაადო, ლოყაზე მოუცაცუნა და ისევ ამაყისა და მკვახე ხმით უთხრა:

— რაღა თქმა უნდა კარგათა ხარ? მალე წახვალ ადესაში... სასწავლებლათ... პირველ ენკენისთვისათვის წახვალ გემით... წადი ახლა.

ვასომ საჩქაროთ მოიბრუნა პირი და სასადილო ოთახისკენ გაიქცა. დედას და დებს ისევ ეძინათ. საჩქაროთ დალია ჩაი, რომელიც ძიძას უკვე მოემზადებინა, ძიძის ჩუმათ ჩაიწყო ჯიბეში რამდენიმე ნატეხი შაქარი და გავარდა ბაღში ხტუნვა-ხტუნვით. გაიარა ყვავილების კვლები, ხვიანი და ჩაეიდა ძირის ბაღში, სადაც მრავლათ იყო რიგ-რიგათ ჩამწკრივებული ყოველნაირი ხილი: წითელ-ყვითლათ დაბრაწული მსხვილი ატმები, ყვითელ ქარვასავით დიდრონი მსხლები, მწვანე-ყვითელ-წითელი ქლიავები, ნუში, ბერძნული თხილი და სხვა, ერთი-ერთმანეთში არეული, მეტათ მიმზიდველ სურათს წარმოადგენდა. ეს უშველებელი ბაღი, დიდრონი ხეებით, გაუთავებელ ხვიანებით, ამაყათ გადაჭყურებდა სამ-კუთხით შემოვლებულ ქვითკირის კედელს, შარა გზას და მეოთხე კუთხით მღელვარე ზღვას. ყოველი მცენარე და გზები ბაღში სამაგალითოთ სუფთათ და რიგზე იყო შემუშავებული ტყვეებისაგან, რომელთაც აქ ამუშავებდენ ყოველ დღე. ისინი, თხუთმეტ-ოც კაცამდე, ყოველ დილით ადრე მოდიოდენ, ორი ან სამი ჯარის-კაცის ზედამხედველობით და მუშაობდენ ბაღში ნაშუადღევის სამ საათამდე. ამუშავებდენ ერთსა-და იმავე ტყეეს და ისინი ისე შეეჩვიენ ნავთ სადგურის უფროსის (ადმირალის) ბაღს, რომ ყველა ერთგულათ და სიამოვნებით მუშაობდა. არც ძნელი სამუშაო იყო; ქვაბებით ზიდავდენ წყალს სარწყავათ, ჰგვიდენ გზა-ბილიკებს ბაღში, სხლავდენ ხეებს და სხვა სამუშაოს, უფროსი მებაღის ზედამხედველობით და სწორეთ ამ ხალხთან, ამ საოდავებთან მიეშურებოდა ჩვენი ვასოც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

თუმცა დედამ და დებმა აუკრძალეს ვასოს, არამც თუ ლაპარაკი ამ განდეგილ ხალხთან, არამეთ ახლო მიკარებაც კი, მაგრამ ვასო მაინც სიხარულით მირბოდა, რომ დამტკბარიყო ტყეებთან მუსაიფით და ეგემა მათი საუზმე, რომელიც შაი პურისა და გემრიელი ტკბილ წვენიანი საზამთროსაგან შესდგებოდა და რომელსაც ტყეები დიდის სიამოვნებით თავაზობდენ „პაწია ბატონს“.

რა გემრიელათ ეჩვენებოდა ვასოს ღარიბული საუზმე ამ გაპარსულ ხალხთან, შედარებით იმ მდიდრულ საჭმელებთან, რომელსაც მამის სახლში ხედავდა, მეტადრე იმ დროს, როდესაც ყველანი ერთათ საღილობდენ და ვასო შიშით—ძალათი ხერეხდა წვენს, რომ მოღუშული მამა უფრო არ გაეჯავრებინა. ამ დროს ვასო სულისულზე ელოდა ხოლმე საღილის გათავებას, რომ თავის დაჩაგრულ საიდუმლო მეგობრებთან თავისუფლათ ამოესუნთქა.

ვასომ ტყეები მხოლოდ ამ ზაფხულს გაიცნო. აქამდის როცა ბაღში ხილის საჭმელათ გაიქცეოდა ტყეებს ერთ საკენზე ახლოს არ ეკარებოდა, რადგან ისინი კაცის მჭამლები ეგონა, როგორც არწმუნებდა ძიძა:—შენ თუმცა ადამიანის შვილი ხარ, მაგრამ ეგენი დაგჭრიან, მოგხარშავენ და შეგჭამენო. თუმცა დედა და დები ამას არ ეუბნებოდენ ვასოს, მაგრამ ხან და ხან ისეთ რამეებს იტყოდენ ტყეების შესახებ, რომ რაღაც საშიშარ არსებათ ჰყავდა ბავშს ტყე წარმოდგენილი. თუ მათ ვინმე გაათავისუფლებდა ვასოს ეგონა, რომ ისინი ყველა კაცებს დასჭამენო.—ახია რომ თავებს პარსვენ და ბორკილებს უყრიანო! იმეორებდა ხშირათ გულში ვასო.

ყველა ეს თუმცა აშინებდა ვასოს, მაგრამ მაინც ხან-და-ხან შორიდან თვალ-ყურს ადევნებდა მათ ქცევას: ტყეების ერთმანეთში მეგობრულმა ქცევამ, რომელიც ხან-და-ხან ვასოს თვალ-წინ ხდებოდა მუშაობის დროს, მათმა ტკბილმა ღიღინმა და მრავალმა სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამისთანა საბუთებმა ეასოს გულში ეჭვი დაბადეს, რომ ძიძას სიტყვები სიმართლეს მოკლებული იყო.

ერთხელ ეასომ დაინახა, რომ ერთმა მეტათ უსიამოვნო—აეი შეხედულობის ტყვეემ შენიშნა ყვავის პატარა ბარტყი, რომელიც ბუდიდან გადმოვარდა; ის საჩქაროთ მიუახლოვდა ბარტყს, ფთხილათ აიღო ხელში და ისევ ბუდეში ჩასვა. როდესაც ხიდან ჩამოვიდა და შეამჩნია, რომ გახარებული ყვავის ბარტყის დედ მამა ბუდეში დაბრუნებულ შვილს სიხარულით თავს დასტრიალებდენ, ტყვეს სახე გაუნათდა და ღიღინით დაიწყო მუშაობა.

მეორეთ ტყვეებმა იპოვეს ბაღში პატარა ლეკვი, დასუსტებული გამხდარი და ისეთის ალერსით და სიფთხილით დაუწყეს მოვლა, რომ მალე მოასულიერეს. კარგათ დაინახა ეასომ, როგორ უდგებდენ პირში ლეკვს ტყვეები დაღეჭილ პურს, როგორ მიაწვენეს კუთხეში და დააფარეს ძონძები და რა ერთხმათ სიამოვნებით გადასწყვიტეს ძაღლის მოვლა მოსულიერება.—ეისაც ასე ებრალება ჩიტი და ძაღლი ის უთუოთ გულ-კეთილი უნდა იყოს და მაშასადამე არც ტყვეები იქმენიან ისეთი ბოროტები, როგორც ძიძა ამბობსო—ფიქრობდა ეასო გულში.

ამიტომაც ერთხელ ეასო დაეკითხა მამის ძველ მოსამსახურეს, კირილეს:

— მართლა იტაცებენ ტყვეები პატარა ბავშვს და მერე სჭამენ?

გულ-კეთილმა ჭკვიანმა მოხუცმა კირილემ თვალები დაჭყიტა ეასოს და გაოცებისაგან რამდენსამე წამს ხმა ვერარ ამოიღო. ეასო შეკრთა, ეგონა კირილეს დიდთ ეაწყენინეო და შესწუხდა.

— ეგ ვინ გითხრა, ბატონი შვილო? ჰკითხა ბოლოს კირილემ.

— ძიძამ.

— სისულელე ულაპარაკნია, ბატონო ეასილ, სისულელე და თქვენ კი დაგიჯერებიათ. სად გაგონილა, ღმერთო შეგცოდე, რომ კაცებსა ჭამდენ? მთელს ქვეყანაზე არ არის მაგნაირი ხალხი! ეისაც გინდა ჰკითხე თუ არა გჯერა. თუმცა არის ერთი კუთხე, სადაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად გამხეცებული ხალხი ცხოვრობს, ძალიან შორს არის აქედან, ზღვებს იქით. ისინი მიმუნებსა ჰგვანან, აი, ის შეჩვენებულები სპამენ კაცის ხორცსა, მაგრამ სხვაგან არსად არ არის, განსაკუთრებით ჩვენში. ძიძას მოუტყუებიხარ, ბატონი შვილო; ის სულელი, არ იცის რომ ბავშისთვის რა ძნელია ასე შეშინება— ბუტბუტებდა კირილე.

— არც მე მჯერა ძიძას სიტყვები... მე განა არ ვიცი რომ კაცი კაცის ხორცს არა ჭამს... იმართლებდა თავს შერცხვენილი თავმოყვარე ბავში.—მე ისე გკითხე, განა არ ვიცი, რომ ტყვეები საშიში ხალხი არ არიან. დაუმატა ვასომ, რომელსაც ძალიან უნდოდა ასე ყოჯდასუფრის მცოდნე კირილესთვის გამოეკითხა რამე ტყვეების შესახებ.

— სრულიადაც ისინი საშიშარნი არ არიან, ჩემო ბატონო, ისინი ისეთივე ხალხია, როგორიც ჩვენა ვართ. მხოლოთ ხასიათით უფრო სუსტნი არიან და ადვილათ სცდებიან. ესე იგი უფრო უბედურნი, შესაბრალისნი.

— რისთვის არიან დატყვევებულნი?

— სხვა და-სხვა დანაშაულობისათვის, ბატონო, ყველა მათგანი ან სალდათთა ნამყოფია, ან გემზე მოსამსახურე. ზოგი მათგანი ქურდობისთვის, ზოკი მოტყუებისათვის, ზოგი კაცის მკვლელობისათვის, ზოგიც ურჩობისათვის არის დაჭერილი.

— როგორ თუ ურჩობისათვის? დაეკითხა კირილეს ვასო.

— ისე, ალბათ ვერ მოითმინა და უზრდელათ მოექცა მებატონეს ან რომელსაც მოხელეს, როდესაც ისინი სასტიკათ მოექცენ, ან შეიძლება დათვრა და რამე სიგლახე ჩაიდინა და ამიტომ გადაიცვეს ტუსაღის ფარაჯა და ციხეში ამოაყოფინეს თავი.

ამას შემდეგ ვასოს შეეცალა აზრი ტყვეების შესახებ. ის კარგათ ხედავდა, რომ ისინი ისეთივე ხალხი იყვენ, როგორც გარეთ მოსამსახურენი და სულ სხვა თვალით დაუწყო ცქერა; აღარც ისე გაურბოდა, უფრო ახლო მიდიოდა მათთან და სიამოვნებით უცქე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდა, როდესაც ისინი მხიარულათ მუსაიფობდენ ერთმანეთში, იცინოდენ, ხუმრობდენ და მადიანათ შეექცეოდენ საუზმეს.

ერთხელ, როდესაც ვასო ცნობის-მოყვარეობით შესცქეროდა ტუსაღებს, როგორ გემრიელათ ილუკმბენდენ მარილ დაყრილ შაუპურს და თან ატანდენ ცივ წყალს, ერთმა ტუსაღმა ისეთი გულკეთილათ შესთავაზა „პაწია ბატონს“ ტუსაღის პური, რომ ვასომ უარი ვეღარ უთხრა და დიდის სიამოვნებით შეჭამა ორი ნაჭერი და კარგა ხანსაც დარჩა იმათთან. ყველა ტუსაღი ისეთი სიყვარულით და თავაზიანათ ექცეოდა ვასოს, რომ როდესაც მუშაობის გათავების ზარი დაუკრეს ვასო ძალიან შეწუხდა, ნეტა ასე ჩქარა არ გათავებულიყოო.

ამას შემდეგ ადმირალის შვილი და ტუსაღები ძალიან დამეგობრდენ, რასაც ვასო დიდის სიფთხილით მალამდა, რადგან იცოდა რომ შინაურები ამას არ მოუწონებდენ. რაც უფრო ხანი გადიოდა ვასო უფრო რწმუნდებოდა, რომ დედაც, დებიც, ძმაც და თვით ლენერალი მამაც შემცდარი იყვენ, რომ ტუსაღები საშიშარ ხალხათ მიაჩნდათ. ვასომ ტყვეები ძალიან კარგ და კეთილ ადამიანებათ გაიცნო. და სულ იმას გაიძახოდა: რას ერჩიან საწყლებს, რომ თმა მოუპარსიათ, ფეხებში ბორკილი გაუკრიათ და თავისუფლათ სირბილის ნებას არ აძლევენო.

ვასო ყველა ტყვეებს სულით და გულით დაუმეგობრდა, განსაკუთრებით-კი უფრო ერთ ყმაწვილ ტყვეს, რომლის ლურჯი თვალები მეტათ ალერსით გამოიყურებოდენ. ვასოს არ გამოუკითხავს მისთვის, თუ რათ დაატყვევეს, იგი მტკიცეთ იყო დარწმუნებული, რომ დიდი დანაშაულისთვის არ იქნებოდა დაჭერილი და მეტათ თავაზიანათ ექცეოდა იმ ჭკვიან ტყვეს, რომელიც ისე დაუმეგობრდა ვასოს და ისე კარგათ უამბობდა ათასნაირ ზღაპრებს. ეს ტყვე ყოველთვის მეტათ დაღონებული იყო და ვასოს დანახვაზე-კი სიხარულით გაიღვეებდენ ხოლმე მისი თვალები. ამ ტყვეს მაქსიმე ერქვა. ტყვეები იმას მეორე სახელათ „ბულბულს“ ეძახდენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან მაქსიმე მუშაობის დროს მშვენიერათ იმღეროდა, თუმცა მის სასიამოვნო სიმღერაში ხან-და-ხან ისეთი მწუხარებაც გამოიხატებოდა ხოლმე, რომ ეასოს პატარა გული ეხუთებოდა მისი საცოდაობით და თვალში ცრემლები მოადგებოდა ხოლმე. ხშირათ კიდეც გაურბოდა ამ საცოდავ ხმას.

III

ეასო სწორეთ იმ დროს ჩავიდა ქვეით ბაღში, როდესაც ტყეებს დასასვენებლათ ზარი დაურეკეს. ისინი ნახევარ საათს ისვენებდენ და ამიტომ აქეთ-იქით" გაიფანტენ, ზოგი ჯგუფ-ჯგუფათ, ზოგი სათითაოთ და ჩრდილოებში — საუზმეთ შავ პურსა და საზამთროს შეექცეოდენ.

სიცოცხლით სავსე გაწითლებული სახით ეასომ მიირბინა ტყეებთან და დაუწყო ალერსით მისალმება. ტყეებიც, როგორც ყოველთვის, აღტაცებულის სიხარულით მიეგებენ ეასოს და აქეთ-იქიდან ეკითხებოდენ:

— როგორ ბძანდები „პაწია ბატონო?!"

— ძიძას ხომ არ შეუშინებიხარ?

— საზამთროს ხომ არ მიირთმეე?

— მე უფრო კარგი საზამთრო მაქვს!

— „პაწია ბატონი" მაქსიმესთან ისაუზმებს, მაქსიმემ დღეს ბაზარში განგებ, მაგის გულისთვის დიდი საზამთრო იყიდა.

— სად არის მაქსიმე? იკითხა ეასომ, რომელიც აქეთ-იკით ათვალიერებდა თავის საყვარელ მეგობარს.

— აგერ სადა ზის, ქოხში. ის ხომ ყოველთვის ხალხს ემალება... წადი იმასთან „პაწია ბატონო" და უბძანე რომ გამხიარულდეს, თორემ როგორღაც ბევრსა ოხრავს.

— რათ არის აგრე? იკითხა ცნობის-მოყვარეობით ეასომ.

— ეგ თითონ იმასვე ჰკითხეთ... ალბათ ჯერ კიდევ ვერ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩეევია ტყეეობას. ისე დნება ჯაერით, როგორც გალიაში დამწყვდეული ჩიტი.

— გუშინ უფროსისაგან კიდევ მოხედა... ჩაუმატა შავმამა ხნიერმა ტუსაღმა.

— რათ მოხედა? დაეკითხა ვასო.

— რო თქვას კაცმა უსამართლოთაც და სამართლიანათაც. მაქსიმემ ვერ შეამჩნია, რომ ზედამხედველი მოდიოდა და არ ჩამოეცალა, იმანაც აიღო და სდრუზა და სდრუზა თაეპირში. ეს-კი, ვინც უნდა იყოს, ყველასთვის სათაკილოა, არა „პაწია ბატონი?“ თქვენ რას იტყვით?—რომ ღირსი იყოს კიდევ ჰო, მაგრამ ასე ტყულუბრალოთ ცემა!

ვასოს მოაგონდა ი'ა დღეები, როდესაც უდანაშაულოთ სჯიდნენ ხოლმე სახლში და ამიტომ დაუმატა: ზედამხედველი ძალიან ცუდათ მოქცეულა და რომ შემეძლოს ახლა მე ედრუზამდი იმას ცხეირპირშიო.

ტყეეებმა დიდის სიყვარულით დაუწყეს ცქერა „პაწია ბატონს“, რომელიც ისე თანაგრძნობით ექცეოდა მათ.

ვასო გაეშურა თავის მეგობრისკენ და შეჰყო ქოხში თავი. მაქსიმეს ხელუხლებლათ ედო გაჭრილი საზამთრო და რამდენიმე ნაჭერი პური.

— გამარჯობა, მაქსიმ! როგორა ხარ?

— დილა მშვიდობისა, ბატონო! მიუგო მაქსიმემ დამშვიდებულის ტკბილი ხმით.—როგორ გეძინა? აბა იგემეთ რაკარგი საზამთროა. ინებეთ ჩემო კარგო. მაქსიმემ მიაწოდა ვასოს საზამთროსი და პურის ნაჭერი და თან თავისი ტეიანი თვალებით ალერსით შესცქეროდა.—მე თქვენ გელოდებოდით.

— მადლობელი ვარ, მაქსიმე... მე შენ გვერდით დაეჯდები... შეიძლებაა?

— რატომაც არა, დაბძანდი, ჩემო კარგო ბატონო... გრილა აქა და გიამება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეასო მიუჯდა გვერდით მაქსიმეს, ამოიღო ჯიბიდან რამდენიმე ნატეხი შაქარი, პატარა ქაღალდში გახვეული ჩაი, მიაწოდა და უთხრა:

— აი მაქსიმე, ეს მოგიტანე, გამომართვი... ჩაი დალიე ხოლმე ..

— დიდი მადლობელი ვარ, ბატონიშვილო!.. ოხ რა გულ კეთილი ხარ!.. ეაი თუ დავსაჯონ თქვენებმა, რომ სახლიდან ჩაი-შაქარს ზიდავ.

— ნუ გეშინიან, ჩემო მაქსიმე, არაფინ დამსჯის. არც კი არაფინ გაიგებს.. ამ დროს ჩვენებს ყველას ძინავთ. მხოლოთ მამამ გაიღვიძა და თავის სამუშაო ოთახში ზის, ამის გარდა ჩვენ ჩაი-შაქარი იმდენი გვაქვს, იმდენი რო!... სხაპა-სხეპით ლაპარაკობდა ეასო და ცდილობდა დაერწმუნებინა მაქსიმე, რომ არაფინ დასჯიდა, თან მადანით შეექცეოდა შაე პურსა და საზამთროს და ყურადღებას არ აქცევდა იმას, რომ საზამთროს წვენი გულზე ჩამოსდიოდა.

მაქსიმემ ჩაიდო ჯიბეში ჩაი-შაქარი და დაიწყო საუზმის ჭამა.

— კიდევ ინებე, ბატონიშვილო, შესთავაზა მაქსიმემ, როდესაც ეასომ გაათავა საზამთროს ნაჭერი.

— შენ ცოტა დაგრჩება! უპასუხა ეასომ, რომელსაც საზამთროს ჭამაც უნდოდა და მეგობრის ზარალიც აწუხებდა.

— მეყოფა... ამას გარდა როგორღაც არცა მშიან.

— მაშ ერთ ნაჭერს კიდევ შეეჭამ.

როდესაც საზამთროცა და პურიც შესჭამეს ეასომ ჰკითხა მაქსიმეს:

— მაქსიმე, შენ დაღონებული რათა ხარ?

— სამხიარულო ტუსაღს ბევრი არაფერი აქვს, ბატონიშვილო!

— ბორკილები ფეხებსა გტკენ?

— მონობა საძაგლობაა, ბატონიშვილო.. ჯერ სამსახურში ყოფნა იყო ჩემთვის საძნელო და ახა ტყვეობაში რაღა იქნება!

— შენ, მაქსიმე, ჯარის-კაცათ იყავი თუ გემზე მოსამსახურეთ?

— გემზე მოსამსახურეთ ვიყავი, ორმოც-და-მეორე ეკიპაჟზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნება გაგეგონოს კაპიტან ბაგატოვის გვარი, მე იმასთან ვიყავ.

— ვიცნობ, ვიცნობ, ჩვენსა მოდის ხოლმე. სქელი კაცია და უშველებელი მუცელი აქვს, არა?

— ჰო, სწორეთ იმის მიზეზით ვარ ახლა დატუსალებული. ღმერთმა მოჰკითხოს ჩემი ცოდო!

— გალანძღე ის, თუ რა უყავი?

— როგორ გავლანძღავდი? რას ამბობ ბატონიშვილო! ჩემისთანა მორჩილი მონა იმას არა ჰყავდა, მაგრამ ისე მცემდა ხოლმე, რომ ჩემი მზე იმან დააბნელა.

— რათა, რისთვის?

— ყველაფრისთვის, საბუთიანთაც და უსაბუთოთაც. ორჯელ იმის მიზეზით საავთმყოფოშიაც ვიწვექი... ერთხელ ვეღარ მოვეთმინე და ბოროტი დავუძახე. მართლა რომ ბოროტია... ამიტომაც გამასამართლეს და დამატყვევეს. რაც უნდა იყოს აქ ყოფნას გემზე ყოფნა ჯობდა. იქნება იქიდან სხვაგან გადავსულიყავ, უკეთეს კაცის ხელში. აქ თქვენ ხომ ხედავთ რა არის ჩემი ცხოვრება, რაც უნდა ჯაერი მკლავდეს არავინ მიბრალებს, ყველა ცხვირპირში მცემს, იმიტომ რომ ტყვე ვარ! დაამთავრა მაქსიმემ მწარის ღიმილით. ვასო დიდის თანაგრძნობით უსმენდა მაქსიმეს და რამდენსამე წამს შემდეგ უთხრა:

— მაქსიმე, რატომ არ გაიქცევი, თუ აგრე გლახათ გექცევიან? მაქსიმეს სიხარულით თვალებმა გაუელვა.

— თქვენ გგონიათ შეიძლება? მე დიდი ხანია გაეიპარებოდი რომ შემეძლოს, წავიდოდი ჩემს ქვეყანაში.

— საით არის შენი ქვეყანა?

— პადოლის ოლქში... იქნება გაგიგონია პროსკუროვი? იქვე ახლოა, ერთი ნეტა შემეხვედა დედისა და მამისათვის და მერე წავი. დიდი ავსტრიის საზღვარზე ბედის საძებნელათ. წარმოთქვა მაქსიმემ და სახეზე წითლათ ალმური აუვიდა. ის დიდი ხანია ოცნებობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გაპარვაზე და ახლა უნებურათ წამოსცდა ის რასაც ამოდენ ხანს გულში მალაედა.

— ბატონიშვილო-კი არაფის უთხრათ, თუ მე რამე გითხარით გაპარვაზე, თორემ ტყვეს გამაძრობენ, თუ გამიგეს! დაუმატა მაქსიმემ შიშით თავზარ-დაცემულმა, რომ ბაეშს გაანდო თავისი საიდუმლო.

ეასომ სასოებით პირჯვარი გადიწერა და შეჰფიცა, რომ არაფის ეეტყვი თავის დღეში არაფერსაო.

— შენ ნუ გეშინიან, მაქსიმე, თავის დღეში არა სულიერი არ გაიგებს ჩემგან არაფერს, შენ ჩემის მიზეზით არავინ გცემს, ჩემო მაქსიმე, თუმცა მე პატარა ეარ, მაგრამ საიდუმლოს შენახეა-კი ეიცი. თავეგამოდებით დაუმატა ეასომ.

როდესაც შეატყო მაქსიმეს დამშვიდება, ეასომ განაგრძო გაპარეაზე ლაპარაკი:

— შენ ამბობ, რომ გაპარეა არ შეიძლებაო; მე-კი ეამბობ, რომ შეიძლება და ძალიან ადვილათაც. ეუბნებოდა ეასო.

— აბა რანაირათ, ბატონიშვილო? ღიმილით დეეკითხა მაქსიმე.

— შენი ბორკილები დაანტერ-ია აი აქ, ჩეენ ბაღში... ჩაქუჩს მე მოგიტან... მერე გადაძვერ კედლიდან და გაუდექი ავსტრიის გზას.

— ტუსაღის ტანისამოსში? იმწამსეე გამქაჩენ, ბატონიშვილო, მწარის ღიმილით მიუგო მაქსიმემ.

— ღამე გაიპარე.

— ღამე უფრო ეერ გაეიპარები... რკინის გალიაში ეართ დამწყდეული. ამას გარდა ღამის დარაჯები დამხერეტენ.

— მაშ არ შეიძლება გაპარვა? იკითხა ეასომ და სახე მოეღუშა.

ტყვე პასუხს არ აძლეედა, თითქო რაღაც საიდუმლო აზრები უტრიალებდენ თავში. უცებ მისმა სახემ რაღაცნაირი გამომეტყველება მიიღო, გაწითლდა. ყმაწვილს ისე დაუწყო ცქერა თითქო მისი გამოცდა სწადიანო, თითქო რიღასიც თქმა უნდა და ეერცა ბედავსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას გაჩუმებულხარ, მაქსიმე? კიდევ გეშინიან, რომ მე შენ საიდუმლოს ვისმე ვეტყვი? გულნაკლულათ დაეკითხა ვასო.

— არა, ბატონიშვილო... თქვენ ტუსაღის დაღუპვას არ მოინდომებთ, ეიცი კეთილი გულისა ხარ. მიუგო მაქსიმემ დაბეჯითებით და, თითქო გულში რაღაც გადასწყვეტოო, ჩურჩულით განაგრძო:

— გაქცევა შეიძლება, ბატონიშვილო, მაგრამ მაგ გვარათ კი არა, როგორც თქვენ ამბობთ!..

— მაშ როგორ?

— მაგალითათ, რომ შეიძლებოდეს კაბის შოვნა..,

— როგორი კაბის?

— ქალისა. აი, ეთქვათ ისეთის, როგორც თქვენ ძიძას აცვია.

— ქალისა? გაიმეორა ვასომ გაოცებით.

— დახ, და აკრეთვე ქალის თავზე მოსახვევი... მაშინ-კი შეიძლებოდა გაქცევა.

ვასო ცოტახანს ჩაფიქრდა, მერე გადაჭრით უპასუხა:

— მე მოგიტან ძიძას კაბას და თავზე მოსახვევს.

— თქვენ მომიტანთ... ბატონიშვილო?

მაქსიმე ისე იყო აღელვებული, რომ სიტყვები ყელში შეუჩერდა. ცოტახანს უკან ეცა ვასოს ხელებზე და ხან ერთზე და ხან მეორეზე კოცნა დაუწყო.

ვასომაც გადაჭკოცნა თავის მეგობარი ტყვე.

— როგორ მოახერხებთ მერე? . რომ გაგიგონ?..

— ნუ გეშინიან, მაქსიმე... ვერავინ გამიგებს. ამას მე იმღროს მოვახერხებ, როცა ყველას ეძინება. მხოლოთ სად დაგიწყო ტანსამოსი ისე, რომ შენს მეტმა არავინ ნახოს?

— აი აქა, ეაზის ძირში დადე, ბატონიშვილო და ზემოდან ფოთლები გადააფარე, რომ არავინ დაინახოს.

— მოდი მიწას გადავაყრი, ჰა, მაქსიმე, რას იტყვი? დაფიქრებით დაეკითხა ვასო.

— არა, ბატონიშვილო, ტყუილათ რად ეწვალოთ. აქ არავინ დადის და ვინ დაინახამს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ კარგი, მე ხვალ დილას, ძალიან ადრე აქ მოვიტან ყველაფერს. შეიძლება ღამეც მოვიტანო... მე ღამე ბაღში სიარულისა არ მეშინიან, ან-კი რა არის საშიშარი. დიდკაცსაებ დაუმატა ვასომ.

— ქრისტე უფალმა დიდი კაცი გაგზარდოს, ბატონიშვილო, მთელს ჩემს სიცოცხლეში თქვენი დღეგრძელობისთვის ვილოცავ! აღტაცებით წარმოთქვა მაქსიმემ.

— სამუშაოთ წაამოდით, სამუშაოთ წაამოდით!.. გაისმა ხმა ზედამხედველისა.

— მე კიდევ მოვირბენ შენ სანახავათ, მაქსიმე... მერე ხომ ყველარ ენახავთ ერთმანეთს!.. ხვალ აქ აღარ იქნები... დაღონებით წარმოთქვა ვასომ, გამოეთხოვა მეგობარს, გამოძერა ქოხიდან და გაიქცა სახლში.

ს. ციციშვილი.

ი (დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჟანია *) (ჟირაფი).

ეს არის ერთთა ერთი წარმომადგენელი მთელი თაეისი საგეარეულოსი,—ობოლი, უნათესაეო, უთეისტომო.

საოცარი სანახაობისაა ეს ცხოეელი. არც ერთ სულდგმულს არა ჰკაეს თაეისი მოყეანილობით მთელ დედამიწის ზურგზე. ის თითქო სხეა-და-სხეა ცხოეელთა სხეა-და-სხეა ასოთაგან შეუდგენია ბუნებას: იმისი თაეი და ტანი ნამდეილ ცხენის თაესა და ტანს მოგაგონებს, მისი კისერი და მხრები—აქლემისას, ყურები—ხარისას, კუდი—ეირისას, ფეხები—ჯეირნისას, ფერი და ხალებიანი ტყაეი—ეეფხისას.

სიგრძე ტანისა აქეს სამი არშინი; სიგრძე თაეიდან გეამამდე თითქმის ექვსი არშინი; სიგძე კუდისა ცალკე—ერთი არშინი და თოთხ-

---

*) ეს სასედი გაწოდე ჟირაფს ჩემს საკმაწეიდო „ასად ანბანში“ და ადარც აქ გამოგუტგაედე. სიტყეა „ბეჟანია“ აქეს ასსნილი ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი გოჯი. სიმაღლე გაეასთან აქვს სამი არშინი და შვიდი გოჯი, სიმაღლე მხრებთან—ოთხი არშინი და სამი მეოთხედი და თავის აწევა შეუძლიან მიწიდან ექვს—რვა არშინზედაც კიდევ მაღლა. წონით ოცდა-შვიდ ფუთ ნახევარია.

ბეჟანია იმოდენათ საკვირველი ცხოველია თავისი სხეულის აგებულობით, რომ უსათუოთ საჭიროა ცოტა უფრო დაწვრილებით მოვიხსენიოთ მისი გარეგანი აღწერილობა. თავი აქვს წაგძელებული და თანდათან წაწვრილებული. თვალები მშვენიერი, დიდი, ბჭყვრიალა და მასთან მშვიდი და ჭკვიანური; ყურები დიდები, ლამაზი, ძრიელ მოძრავი. თავზედ აქვს ორი ძვლის რქა, სულ მთლათ ტყავით შემოსილი, სიგძით ყურებზე უფრო პატარა. ამ რქების წინ, ზედ შუაზე ამომჯდარი აქვს კიდევ ძვალი, თითქო მესამე რქაო. კისერი ძალიან გძელი, წვრილი და ბრტყელი, დამშვენებული ფაფარის მაგვარ მოკლე ლამაზი ბალნით. ტანი მხრებთან უფრო მაღალია და

მერე ცოტ-ცოტათ დაბლა ეშვება; ამასთან წინ, მკერდთან ძლიერ სქელია და უკანა ნაწილი-კი იმოდენათ აქვს გაწვრილებული, რომ, თუ წინიდან უყურებს კაცი ბეჟანიას, ვერ შეამჩნევს სრულიად მის უკანა ხაწილს. ტანის წინ ისე შორს აქვს წამოშვერილი ბეჭები, თითქო ნახევრათ გარეთ გამოსცევნიაო. ფეხები შედარებით ნებიერი აქვს და სიმაღლით თითქმის ტოლები, ჩლიქები ფეხებზე კოხტა მოყვანილობისა; ფეხის სადრეკებზე კორძები, **) როგორც აქლემს. ტყავი ძალიან სქელი, შემოსილი თანასწორი ბალნით. ფერი მისი ბალნისა მკრთალ-ყვითელ ქეიშის ფე-

**) კორძი—„მაზოლი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისაა, ქვემოთ ნაწილი სხეულისა-კი უფრო მოთეთრო; ტყაპი მოხატულია ძრიელ ხშირი და დიდრონი ხალებით; ფერი ხალებისა — მუქი ანუ ღია ყავგ-მოწითელ-მოჩალისფერია. ხალები კისერზე და ფეხებზე უფრო პატარები აქეს, ვიდრე ტანზე. ფაფარი აქეს მოპირისფერო—ჩალის ფერი; ყურები ძირში და წინიდან თეთრი, უკანიდან ღია წაბლისფერი; ძუა შავი.

ბეჟანია ცხოერობს სამხრეთ და შუა აფრიკაში. იქაც, თუ ადგილი მთა-გორიანია, ვერ შეხვდება ვერსად კაცი ამ ცხოველს, რადგან მას უყვარს მხოლოთ დაცემული, ვაკე ადგილები, ტყით ანუ მაღალი მიმოზის ბალახით შემოსილები. უყვართ ცხოერება გროვათ; იკრიბებიან ერთათ ასე—სამიდან ვიდრე რვამდე. ხოლო თუ ადგილი საშიში არ არის, იქ ბეჟანიაც ხშირია და ამისთანა ადგილებში ხან 16 სულამდე გროვდებიან ერთათ.

ცხადია თავისთავათ, რომ საკმელი უნდა შეეფერებოდეს მის უცნაურ გარეგნობას. ან-კი რაში უნდა გამოიყენოს მან ბალახი, როდესაც მისთვის ძირს დაწედომა მეტის-მეტი ძნელია. სამაგიეროთ ძრიელ ეხერხება მაღალი ხეებიდან ფოთლის კორტნა. ამ შემთხვევაში ძრიელ შველის მას მისი სამაკალ-თოთ მოწყობილი ენა. მართალია, ყველა მცოხნავი ცხოველი ენით ჰგლეჯს ბალახს და ფოთოლს, მაგრამ ენა ბეჟანიასათვის იგივეა თოქმის, რაც ხორთუმი სპილოსათვის; მას შეუძლიან ენის შემწეობით აიღოს მიწიდან სულ მცირე, ძლიე შესამჩნევი ნივთი ანუ მოწყვეტოს ხიდან სრულიად პაწია ნვიერი ფოთოლი და ჩაიდოს პირში.

უპირველესი მისი საკმელი მიმოზაა; ის ჭამს მის ტოტებს, ნეკერს და ფოთოლს. ჭამს ასეთიეე სიმოვნებით ფოთლებს ყველა იმ მცენარეებისას, რომლებიც ეხვევა სხვა ხეებს და ამგვარი მცენარეებიც აუარბელია აფრიკის ტყეებში. ბეჟანია იცოხნის საკმელს მდგომელა, მომეტებულათ უფრო ღამით და არც იმდენ ხანს უნდება, როგორც სხვა მცოხნავი ცხოველები. თუ საკმელი ახალია, მას შეუძლიან დიდის ხნობით გასძლოს უწყლოთ. ხოლო როდესაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგება უწვიმო თვეები, როდესაც მომეტებული ხვები დგას ფოთოლ-გაყრილებული და ბეჭანიას წილ რჩება-ღა მცირე საზრდო, მხოლოთ გამხმარი მინდერის მაღალი ბალახი, მაშინ ის მიემგზავრება წყლის დასალევათ რამდენისამე ვერსის მანძილზე და უსათუოთ მოიკლავს კიდეც წყურვილს, რაც უნდა მდგარი, ტალახიანი გუბე იყოს ანუ საძაგელი ჭაობიანი ადგილი.

წყლის დალევა და მიწაზე დაწედომა, რისამე ასაღებათ ძალიან სხვანაირათ იცის: გასდგამს წინა ფეხებს აქეთ-იქით კარგა შორი-შორს და მაშინ თავისი გრძელი კისრის შემშვობითა, დასწედება ხოლ-მე კიდეც მიწას. ახირებული სანახავია ამ მდგომარეობაში ბეჭანია და არც ადვილი წარმოსადგენია, ვისაც არ უნახავს ის იმ დროს, და-ხატული მაინც.

მოძრაობა მისი ისეეა გარჩეული, როგორც თვით ბეჭანია გან-სხვავებულია ყველა ცხოველთაგან. ჩვეულებრივი მისი სიარული ნელი, შეურყეველი, ორღაა. სირბილი აქვს საშინელი სწრაფი, სკუპი იცის მეტის-მეტი დიდი. რადგან წინა ნაწილი ტანისა შე-დარებით ძრიელ დიდია და მძიმე ხტომა მისთვის ძრიელ გასაჭირი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაშველათ მიუცია მისთვის ბუნებას მე-ტათ გძელი და მოკნილი კისერი. როდესაც ბეჭანია გადასხტომათ ემზადება, ჯერ კისერს გადიხრის სულ მთლათ უკან და მერე გადე-შვება. ხტომის დროს არ დრეკს წინა ფეხს, ხოლო კისერი-კი წა-შვერილი აქვს იმ დროს წინ და დაჭიმული. მეორე სკუპისათვის იგივეა საჭირო, ე. ი., ჯერ უნდა კისერი სულ მთლათ უკან გადიხ-როს და მერე ისევ წინ წაჭიმოს. ამგვარად, კისერი მისი ხტომის დროს გაუჩერებლივ მიდი-მოდის წინ და უკან, როგორც აფრა ვე-მისა, აზვირთებულ ზღვაში. როდესაც ბეჭანია გაურბის მტერს, გა-უწყვეტლივ იცემს ზურგზე თავის გრძელ კუდს; მასთან ხშირათ იბ-რუნებს უკან თავს, რომ შეხედოს თავისი მშვენიერი, გონებ-ს გა-მომეტყველი, თვალებით თავის მდევნელს.

ბეჭანია ისვენებს მხოლოთ ღამ-ღამობით. ეშვება ჯერ წინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხების მუხლებზე და, როდესაც შეიკეცავს უკანა ფეხებს, წვება მკერდზე, აქლემივით. ძილის დროს ხანდისხან გვერდზედაც იცის გადაბრუნება და ამ დროს უსათუოთ უკან, თეძოზე უძევს ხოლმე თავი. ძილი იცის ფხიზელი და მცირე; მას შეუძლიან დაჭყოს უძილოთ რამდენსამე დღეს, ხოლო ამ დროს ისევნებს, რასაკვირველია, მდგომელა.

გონებრივი მხრივ ბეჭანია ძალიან მაღლა დგას. მეტის-მეტი გულ-კეთილი, მშვიდი და წყნარი ცხოველია. მას შეუძლიან მეგობრობა გაუწიოს არა თუ მარტო თავისიანებს, არამედ სხვა მოდგმის ცხოველებსაც, უკეთუ ის მისთვის საშიში არ იქნება და ანუ თუ ძალიან არ მოაბეზრეს თავი. მისი თავის დასაცველი იარაღი არის ფეხის დაკერა ანუ წიხლი. და ისეთის ღონით იცის თავისი ძარღვიანი ფეხის დაკერა, რომ ერთის დაკერით შეუძლიან—ლომი მიწაზე დასცეს.

მაკვა ხოლმე ბეჭანია სრულ თოთხმეტ თვეს. მისი ნუკრი, ახლად დაბადებული, სიგრძით თითქმის ერთი საკენი, სიმაღლე წინა ფეხებისა აქვს ორ არშინზე მეტი და სიგრძე კუდისა ათი გოჯი.

მოკლული ბეჭანია ყველაფრით გამოსადეგია. ტყავისას ბევრგვარ რასმე აკეთებენ, ძუისას სანაოვებელს, ჩლიქებისას სხვა-და-სხვა წვრილ ნივთებს და ხორციც ხომ საკმელათ იხმარება. მაგრამ უფრო მეტათ ცდილობენ ცოცხლათ შეიპყრან, რადგან მეტის-მეტი სასიამოვნო და საყვარელი ცხოველია. იქ, იმ აფრიკის ქვეყნებში მაინც ბევრგან ჰყავთ სრულიად მოშინაურებული და სტაბებიან მისი ცქერით და ალერსით. სახელიც საყვარელი—„სერაფე"—ჰქვიან ბეჭანიას არაბულს ენაზე, საიდანაც ევროპიელებს გაუკეთებიათ „ჟირაფი".

ყველა ამ მიზეზებისა გამო, ძრიელ დევნის მას კაცი, ძრიელ არის იქ გავრცელებული ბეჭანიაზე ნადირობა. ბეჭანია საშინელი სწრაფია სირბილში,—მიჭქრის თითქმის, როგორც ქარი; მასთან დაღლითაც ყველა სხვა ცხოველებზე გვიან ილღლება და მაშასადამე, მას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე ნადირობაც ძალიან ძნელი უნდა იყოს. ეს ნამდვილათ ასეც არის. კაცი მთელი კვირით უნდა წავიდეს ტრამალ მინდორში, წაიყვანოს საუკეთესო ცხენები, რომ ხშირათ იცვალოს დევნის დროს, გაიყოლოს თან აქლემები და ძროხები და იშოვოს გზის მაჩვენებლათ უსათუოთ ადგილობრივი მცხოვრები, არაბი, წინააღმდეგ შემთხვევაში მუქთათ ჩაუვლის ყოველი მეცადინეობა. მაგრამ სიძნელე ამით არა თავდება. თვით დევნის დროსაც, როდესაც ბეჟანია თითქმის არაფრის წინ არა ბრკოლდება და გასაშტერებელი სკუპებით გადადის ყველა მაღალ ეკლიან ბუჩქებზე და ჩირგვებზე, რასაკვირველია კაცი დიდ გაჭირვებაში ვარდება; ეკლებში ძრომით ყველა ასო ეკაწრება და ხშირათ ხელებიდან და ფეხებიდან სისხლი სდის ნიაღვარივით. მაგრამ მაინც, მიუხედავათ ყველა ამ სიძნელისა, ხარბი, დაუნდობელი, გულ-ქვა ადამიანი, რომელსაც არა სწამს არაფერი, გარდა თავისი საკუთარი სარგებლობისა და სიამოვნებისა, რომელიც მხოლოთ ამ აზრით უსპობს ყველას სიცოცხლეს, დიდს ნაკლს აძლევს აგრეთვე ამ ყოველისფრით მშვენიერ, საყვარელ, უმანკო და უვნებელ ბეჟანიასაც.

ეს წერილი ეკუთვნის „ჯეჯილის“ წინანდელ თანამშრომელს ლადო ჭალნიაშვილს, რომელიც ამ ჟამათ სულით ავათმყოფია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეხომალდენი.

(ოვიდიუსი)

ირენელი მეხომალდენი ახალგაზდა აკოითის წინამძღოლობით კუნძულ დელოსს მიემგზავრებოდენ. მთელი დღის განმავლობაში მოგზაურები მხიარულ ათ, თანხმობით, სიამტკბილობით, გამალებით მისკურაოდენ ზღვის თეალ-უწვდენელ სივრცეში. ყველანი ერთის აზრით, ერთის მისწრაფებით იყვენ გამსჭალულნი, ყველას სურდა, რაც შეიძლებოდა მალე და მშვიდობიანათ მისულიყო დანიშნულ ადგილას. საერთო სურვილის განხორციელებას ყველანი ხელს უწყობდენ და შორეული გზა დღითი დღე მოკლდებოდა, შორეული დელოსი დღითი დღე ახლოვდებოდა.

ერთ საღამოს მეხომალდენი კუნძულ ხიოსის ნაპირზე დაბინავდენ ღამის გასათევათ. მეორე დღეს, ალიონმა რომ დაჭკა, აკოითმა ბძანება გასცა წყაროს წყალი მოეტანათ, მხოლოთ თითონ მახლობელ ბექობზე ავიდა, რომ ვაეგო საიდან ჰქროდა ქარი ან როგორი ამინდი მოელოდათ იმ დღეს მოგზაურებს. თუ კარგი ამინდი იქნებოდა გზის განგრძობა შეიძლებოდა. ზემოდან აკოითმა ხმა-მაღლივ დაჰყვირა თავის თანამოგზაურებს.

— „ჩვენ აქა ვართ“, შესძახა ერთმა მეხომალდეთაგანმა, რომელსაც მახლობელ უდაბნო მინდორში დაეტყვეევინა ახალგაზდა კაცი და თან შიჰყავდა. ახალგაზდა ტყვე ძლიეს-ღა მოსდევდა მეხომალდეს, იგი წამდაუწუმ ბარბაცებდა, თითქო მთერალია ან მძინარეო.

მეხომალდების წინამძღოლმა დაინახა თუ არა ახალგაზდა ტყვეს პირისახე, მიუბრუნდა თანამოგზაურებს და უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს ყმაწვილი უბრალო მომაკვდავი ეინმე არ გეგონოთ! ღრმათ დარწმუნებული ეარ, ამ ყმაწვილის სახით, რომელიმე ღმერთთაგანი მოგვეელინა, ხოლო რომელი, ამის გამოცნობა არ შეგიძლია.

ამ სიტყვებთან ერთათ აკოითი მიუახლოვდა ახალგაზდა ყმაწვილს და მორიდებ:თ უთხრა: — ეინც უნდა ბძანდებოდეთ, გთხოვეთ, მოწყალე თვალით შემოგეხედოთ, მოგვემართოთ ხელი ჩვენს მოგზაურობაში. გთხოვეთ აბატიოთ დანაშაული თქვენ დამტყვევებელს.

— ჩვენს მაგიერათ სათხოვნელათ ნუ სწუხდებით! გაბრაზებით შეჰყვირეს მეხომალდეებმა.

— მე არასოდეს ნებას არ მოგცემთ შემოგაყვანინოთ ეს ღვთის კაცი გემზე. თქვენი სურვილი აშკარაა—ტყვეს გაყიდვა გინდათ. ღმერთები დაგესჯიან, გზაში რამე უბედურება მოგვეელენენ.

მეხომალდეები მეტათ გაოგდაერა აკოითის ამგვარმა სიტყვებმა და ერთბაშათ ასტეხეს საშინელი ღრიანცელი და ხმაურობა. გაბრაზებულნი წინ აღუდგენ აკოითის განკარგულებას და ძალმომრეობით მოათაესეს ახალგაზდა ტყვე გემზე.

— რა ამბაეია, რა ხმაურობაა, ეინ მომიყვანა აქა და ან საით მიგყვეართ? იკითხა ბოლოს ეითომ გონზე მოსულმა ახალგაზდა ტყვემ.

— ნუ გეშინია! უპასუხა ერთმა მეხომალდემ: შენ ოღონდ გვითხარი, რომელ ნაეთ-სადგურში გწადია ჩამოხტე და ჩვენც იქ ვადმოგსვამთ ზღვის ნაპირას.

— ჩემი სამშობლო ნაქსოსია, უპასუხა ყმაწვილმა, — და სწორეთ რომ სამშობლოში მწადია დაბრუნება.

მეხომალდეები უსირცხვილოთ ეფიცებოდენ ახალგაზდა ყმაწვილს, შენს სურვილს უთუოთ შეგისრულებთო.

ნაქსოსი მდებარეობდა მარჯვენით. მეხომალდეებმა სწრაფათ აიფრიალეს იალქნები. აკოითი ცდილობდა ნაქსოსისკენ მოემართა იალქნები, მაგრამ გაბრაზებულნა მეხომალდეებმა ნება არ მისცეს და სუფლ სხეა ადგილისაკენ გააქანეს ახალგაზდა ტყვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთი ბახუსი, რომელსაც ახალგაზდა ყმაწვილის სახე მიეღო, ეითომ ახლა მიხვდა მეხომალდეების სიცრუეს და განზრახ ტირილით შესჩიოდა:

— ეს ის ქვეყანა როდია, საცა მე ურდა მიგეყვანეთ. რა დაგიშავეთ ასეთი! თქვენ რა შეგემატებათ, მე რომ დაეიღუპო, ჩემს საყვარელ სამშობლოს სამუდამოთ მოეწყდე! გეეედრებით, ნუ დაიობლებთ ჩემ მშობლებს და ნურც მე მაქმეეთ სიმწარის სამსალას სამშობლოს უნახაობით. ჩემზე ძალმომრეობის გამოჩენა არაფერი გმირობაა. მე ერთი ვარ და თქვენ-კი, აი რამდენი!

მეხომალდეებმა სიცილით ქოქოლა დაყარეს საცოდავ თვალცრემლიან ახალგაზდა ტყვეს. ნიჩბები უფრო მარდათ მოუსვეს და გემს ელვის სისწრაფით მიაცურეებდენ ზღვის ტალღებში. ელვასავით მიმფრინავი გემი უეცრივ შედგა და ადგილიდან დაძვრა ვეღარ შესძლეს. მეხომალდეებმა უფრო კარგათ მომართეს იალქნები, ნიჩბები უფრო მძლავრათ მოუსვეს ზღვის ტალღებს, მაგრამ ნავი ოდნავაც ვერ შეარხიეს. ყველანი შიშის ზარმა აიტანა. შიში მეხომალდეებს ერთი ორათ გაუორკეცდათ, როცა ახალგაზდა ტყვეს თავზე დაინახეს ვაზის ფოთლებით დაწნული გვირგვინი. გემი მთლათ ვაზის ფოთლებით შეიმოსა. ბახუსმა კვერთხი დაჰკრა გემს და უეცრივ იგი საშიშარ მხეცებით აივსო.

მეხომალდეები შიშისაგან ერთი მეორეს აწყდებოდენ და ვინ რას შერებოდა, არა გაეგებოდათ-რა. დახეთ საკვირველებას! ამ დროს შვინიშნეს რომ თვითოეულ მეხომალდეს სხეული, პირისახე ეცვლებოდა, უსხეაფერდებოდა; გაკვირვებით შესჩერებოდენ ერთი მეორეს და სრულებით ერთმანეთს ვეღარა ცნობდენ. ბოლოს მეხომალდეები ზღვის ღრმებათ გარდაიქცენენ და დაუყონებლივ ნავიდან ზღვის სიღრმეში გარდაშვენ. აკოითი შიშისაგან ცახცახებდა და ყოველ წამს მოელოდა რო ამხანაგების დღე დადგებოდა, მაგრამ ღმერთმა დაიფარა ამ უბედურებისაგან.

— აკოით, ნუ გეშინია, მომართე იალქნები ნაქსოსისაკენ. ლმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიერათ მიუბრუნდა აკოითს ბახუსი: სიმართლე და სისწორე კაცს არასოდეს არ დაჭარგავს.

ერთის ნიჩბის მოსმით გემმა მარდათ შესცურა ზღვის ტალღებში და სულ მცირე ხნის განმალლობაში ნაქსოსის ნავთ-სადგურს უვნებლათ მიადგა. აკოითმა კუნძულ ნაქსოსზე ღმერთებს სამადლობელი მსხვერპლი შესწირა გადარჩენისათვის. ბახუსის გამამხნევებელი სიტყვები: „სიმართლე და სისწორე კაცს არასოდეს არ დაკარგავსო“ აკოითმა მაგრათ გულის ფიცარზე აღიბეჭდა და თავის ცხოვრების მაპაეალს მუდამ ჭამს ამ მცნების მიხედვით აწეს-რიგებდა.

ა. უუმასთაკელი.

ძველი ისტორია.

(ერნესტ ლავისისა)

ჯვაროსანთა ლაშქრობა.

ურწმუნოები. ევროპის მკვიდრთ ჯერ პირველში დაიწყეს ერებ-თ დაყოფა, თითოეული კი იყოფებოდა რამოდენიმე ცალ ცალკე სახელმწიფოებათ. მაგრამ ამ ერებს ჰქონდათ ერთნაირი ცივილიზაცია (განათლება) და ერთი სარწმუნოება. ისინი იყვენ ქრისტიანები და ემორჩილებოდენ პაპს. მეთერთმეტე საუკუნეში ქრისტიანებს გარს ეხვია სამი მხრით ხლვა სარწმუნოების ხალხი, რომელთაც უწოდებდენ ურწმუნოებს ანუ ურჯულოებს. ესენი ცხოვრობდენ: 1) მუსულმანები აღმოსავლეთით, სირიაში და ეგვიპტეში; 2) დასავლე-

თით, მუსულმანები ისპანიაში, რომელთაც ეძახდენ მაურებს; 3) ჩრდილოეთ აღმოსაელეთისკენ სლაეიანები და პრუსები, რომლებიც იყვენ ბარბაროსები და კერპთ-თაყვანის მცემელნი. პაპებს უნდოდათ უსჯულოების ძალით მოქცევა ქრისტიანებათ, და ამისათვის ისინი აქეზებდენ რაინდებს რათა იმათ ომით შეეშინებინათ უსჯულოები. ამგვარ ომებს უწოდებდენ ჯვაროსანთა გალაშქრებას, რადგან, ვინც ლაშქარში მიდიოდა, წითელ ჯვარს იკეთებდა ტანისამოსზე.

2) ჯვაროსნები აღმოსავლეთში. უდიდესი გალაშქრება ჯვაროსნებისა მოხდა რეაჯერ: აღმოსაელეთისა და ეგვიპტისაკენ. პირველ ომში მონაწილეობა მიიღეს უმეტეს ნაწილათ ფრანგებმა.

1099 წელს ჯვაროსნებმა აიღეს იერუსალიმი, და იმათ, რომლებმაც მოისურვეს დარჩენა, დააარსეს იერუსალიმის სამეფო. მაგრამ რადგან მუსულმანებთან წინააღმდეგობის გაწევა ვერ შესძლეს მაშველათ რაინდები მოიწვიეს ევროპიდან. მეორე ჯვაროსანთა ომი (1147 წ.) გამართეს საფრანგეთის მეფემა და გერმანიის იმპერატორმა, მაგრამ მუსულმანებმა დასძლიეს და აიღეს იერუსალიმი.

მესამე ომი გამართეს (1191 წ.) გერმანიის იმპერატორმა და საფრანგეთის და ინგლისის მეფეებმა, მაგრამ მათ მხოლოთ ქალაქი სენ-ჟან-დაკრი დაიბრუნეს. რკინის იარაღებით დატვირთულმა რაინდებმა აღმოსაელეთის სიცხეები ვერ აიტანეს; თითქმის ყველა გზაგზა დაიხოცა.

მეოთხე ჯვაროსანთა ომში რაინდებს უნდოდათ ზღვით წასულიყვენ იერუსალიმში, მაგრამ ვენეციელებმა ისინი დაებრუნეს და წარმართებთან ომის მაგიერ კოსტანტინოპოლში წაიყვანეს, სადაც მეფობდა ქრისტიანი იმპერატორი. რაინდებმა გადააგდეს კოსტანტინეპოლის მეფე ტახტიდან (1204 წ.) და მის მაგიერ გამეფეს ფრანგი ბალდუინი. გაინაწილეს ერთმანეთში მთელი მხარე და თავ-სთავათ მიითვისეს თავადებისა და გრაფების ხარისხები, ეს იყო კოსტანტინოპოლის ლათინთა იმპერია; არსებობდა იგი 1261 წლამდე. მუსულმანებმა დაიპყრეს მთელი იერუსალიმის სამეფო, გარდა კუნძულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიპრისა. ამას გარდა კიდეე იყო ოთხი ლაშქრობა ჯვაროსნებისა. მეექესე ლაშქრობას წინამძღოლობდა გერმანიის იმპერატორი, მაგრამ იგი შებრძოლების მაგიერათ, დაუმეგობრდა მუსულმანების მთავარს, რომლის სამფლობელოშიაც იყო იერუსალიმი, და უომრათ შეეიდა ქალაქის შუაგულ ციხეში (ციტადელში) 1229 წ.. ორი უკანასკნელი ომი გამართა წმიდა ლუიმ, საფრანგეთის მეფემ. მას უნდოდა ეგიპტის დაპყრობა, მაგრამ მტერს ტყეეთ ჩაუვარდა. მერეე და უკანასკნელ ლაშქრობის დროს კი იგი მოკედა ყამისაგან (შაეი ჭირისაგან)

3) ჯვაროსანთა ომები ისპანიაში. მუსულმანებმა დაიპყრეს მთელი ისპანია. ქრისტიანე თავადებმა, რომლებიც დამკეიდრებულიყვენ პირენეებზე, დაუწყეს მათ ბრძოლა. ეს თავადები ნელ ნელა მიიწეედენ სამხრეთისაკენ და იღებდენ ქალაქებს ერთი მეორეზე. მაშინ იყო ხუთი პატარა-პატარა ქრისტიანთა სამთავრო: პორტუგალია, კასტილია, ლეონი, ნავარსა და არაგონია. ისპანიის რაინდები მთელ დროს ატარებდენ მაურებთან ბრძოლაში. მაგალითათ, შესანიშნავმა სიდმ, რომელმაც მეათე საუკუნეში 1075 წ. დაიპყრო ვალენცია. ამ ომებში ჯვაროსანთა რიცხვში სხვათა შორის იყვენ საფრანგეთისა, ინგლისისა და იტალიის რაინდებიც. ეს ომები გაგრძელდა 600 წელიწადზე მეტს. ქრისტიანები ისე ხშირათ ვერ იმარჯვებდენ, რადგანაც ერთმანეთში უთანხმოება და ჩხუბი მოსდიოდათ. ბოლოს მაინც მაურებმა დაისაკუთრეს ისპანიის სამხრეთის მხარეში ერთი პატარა სამეფო ისპანია.

4) ჯვაროსანთა ომები პრუსიაში. მეათე საუკუნედან გერმანიის ქრისტიანები ებრძოდენ მდინარე ელბას იქეთა მხარეს მცხოვრებ წარმართებს. (მათ დაიპყრეს ქეიშიანი მხარე, რომელსაც ეწოდებოდა ბრანდენბურგი და იქ გააშენეს პატარა ქალაქი ბერლინი. იმ ხანებში იერუსალიმის სამეფოში ცხოვრობდენ რაინდი—ბერები, რომლებსაც უწოდებდენ ტეკტონულ რაინდებს; ამათ შეადგინეს ძმობა, სახელათ სასულიერო ხიზმა და ცხოვრობდენ უცოლ-შვილოთ; ისი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი ატარებდენ გულზე „ძმობის“ ნიშნებს და იცავდენ დიდსა და თეთრს მანტიას. მათი დანიშნულება იყო ურწმუნოებთან ბრძოლა. როცა ქრისტიანები განდევნეს იერუსალიმიდან, მაშინ პოლონელებმა მოიწვიეს ნემეცი რაინდები ეისლის ნაპირებზე, სადაც წარმართი პრუსები ცხოვრობდენ; აქ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

(წარმოდგენილი კოტე სესნიაშვილისაგან).

ქვას კლდიდან დანაგორებსა დამსხერეა არ ასცდებაო.

—

დაინახო მელია—თოფი მიარტყიო, დაიჭირო ტყაპი გააძერაო.

—

ღორს თუ დინგით ეერა კუდით მაინც იცნობენო.

—

(წარმოდგენილი დ. თოფაშვილისაგან).

ქათამმა უთხრა კვერცხსაო:
იმდენს გაეედრებ ღმერთსაო,
ჩემსაეით გაგხდი შენცაო.

—

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

(წარმოდგენილი მდგ. ბეს. კაშაძისაგან).

ერთ თეთრს მანდილოსანს 70 კაბა აცვია
და არც ერთი არა აქვს შებნეული.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამამ დამბადა მე უდედოთ, მე დავბადე ცოლი ჩემი, ცოლმა ჩემმა დაბადა ასული ჩემი და ასულმა ჩემმა შვა მამაჩემი.

—

გარეთა ვარ შავი ვარ, აბანოში ეწითლდები.

—

(წარმოდგენილი ალ. შიუკაშვილისაგან).

არ მინახავს და ვიცნობ, ვერ ვხედავ და მიყვარს.

ჩქარა გამოსათქმელი.

(წარმოდგენილია გერმანე სკვირდმისგან).

შენი კატა, კატუნა, კუდ-გრძელი ყურ-ცქვიტინა;
ჩემსა კატას, კატუნას, კუდ-მოკლეს ყურ-პანტურას.
რას ერჩოდა, რას ებრძოდა, რას ეკატ—კატუნ—კუდ-
გრძელ—ყურ-ცქვიტ ეპანტურებოდა!

შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი დავდო აზვანელისაგან).

პირველ მარცვალსა ხმარობენ
როს მიდენიან ღორსაო;
მეორე ასოს თუ იცნობთ,
არ ახლავს ღანსა შორსაო.
მესამე ნიშნავს კარგ ამინდს
არის გამღები კარისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

უყვარს ყოველსა სულდგმულსა,
არ მოსწყინდების კაცს ისა.
მთელი-კი ჩვენ წარმოგვიდგენს
სახლსა ზეციურ მეფისას.
ჩვენი რწმენაა, გვასწავლის
რჯულსა და მცნებას ერისას.

ა ხ ნ ა

№ VII—VIII გამოცანებისა.

გამოცანები: 1) ნართი და თითისტარი, 2) ზვავი, 3) წურბელა, 4) თოფი და ტყვია, 5) ქუდი.

არითმეტიკული გამოცანა: უნდა წაიშალოს: 30, 8, 20 და 5. შეაერთეთ: 15+17+7=39 გამოაკელით 39—14 დარჩება 25.

შარადა: ტყვმალი.

	ა	ქ	ლ	ე	მ	ე	ბ	ი
	წ	ა	ი	კ	ი	დ	ნ	
	ე	ნ	კ	ო	ზ	ა		
	კ	ი	შ	უ	ა			
	შ	ი	გ	ა				
	ს	რ	ი					
	ს	ე						
	ს							

უჯრების ამოცანა:

რებუსი: კამეჩი წევს და იცოხნის
თავის ამინდი ჰგონია,
ლაფში ჩაფლული ურემი
შინ მოტანილი ჰგონია.

უჯრების ამოცანა და რებუსი ახსნა: საჩხერის ორ-კლასიანი სამრეველო სკოლის მოწაფემ ვიქტორ ივ. ნოზაძემ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-ჭერეთელისა.